შერეულ სამეურნეო ამხანაგობას აქვთ საკუთარი საფირმო სახელშოდება რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფონი და მისი ქონების სულ ცოტა ერთი ნამდვილი მესაკუთრე წევრის გვარი (სახელშოდება).

მუხლი 15. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს ერთობ ვი სამეურნეო საქმიანობისათვის ფიზიკურ და (ან) იურიდიულ პირთა გუთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე. საზოგადოებას აქვს საწესდებო კატალი, რომელიც იქმნება მხოლოდ დამფუძნებელთა საპაიო შენატანებით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის იურიდიული პირი მონაწილეები საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ მხოლოდ საკუთარი შენატანის ფარგლებში. საზოგადოების წევრების შენატანების ქათი მესაკუთრისაგან სხვა მესაკუთრისათვის გადაცემა შეიძლება განხორცილდეს მხოლოდ საზოგადოების სხვა მონაწილეთა თანხმობით, საზოგადოების წესდებით დადგენილი წესით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონება იქმნება მონაწილეთა შენატანებით, მიღებული შემოსავლებითა და სხვა კანონიერი წყარო ბით და ეკუთვნის მის მონაწილეებს საერთო-წილობრივი საკუთრების უღებით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მონაწილე იურიდიულ პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პასუხს არ აგებს მის მონაწილეების იმ ვალდებულებებზე, რომლებიც დაკავშირებული არ არ საზოგადოების საქმიანობასთან.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მოქმედებს მისი მონაწილეების მიერ დამტკიცებული საკუთარი წესდების მიხედვით, აქვთ საკუთარი საფირმო სახელშოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

მუხლი 16. ერთი პირის საწარმო

ერთი პირის საწარმო წარმოადგენს ერთი პირის მიერ შექმნილ შეზღული პასუხისმგებლობის საზოგადოების ნაირსახეობის, რომლის ქონება მას ეკუთვნის საკუთრების უფლებით. საწარმოს აქვს საწესდებო კაპიტალ რომელიც იქმნება დამფუძნებლის შენატანით.

ერთი პირის საწარმო შეიძლება შეექმნას სახელმწიფო, აღგილობრივ (მუნიციპალური) საწარმოს ან სხვა ქონების შექენის ან ახალი საწარმოს დაუძნების გზით.



ერთი პირის საწარმო არის იურიდიული პირი. ერთი პირის საწარმოს განკუთხული კუთხით განკუთხული არის ქონების განკერძოებულ ნაწილს, რომელიც განკუთხული არის სამეცნიერო საქმიანობისათვის. საწარმოს ვალდებულებებზე იგი პასუხს ავტორული არის საწარმოს ქონებით.

ერთი პირის საწარმო მოქმედებს საკუთარი წესდების მიხედვით, აქვს საკუთარი საფირმო სახელშოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისი ქონების მესაკუთრის გვარი.

მუხლი 17. დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს ერთობლივი სამეცნიერო საქმიანობისათვის ფიზიკურ და (ან) იურიდიულ პირთა გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე. საზოგადოებას აქვს საწესდებო კაპიტალი, რომელიც იქმნება მხოლოდ დამტურებელთა საპაიო შენატანებით.

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება არის იურიდიული პირი. მისი მონაწილეები საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს ავტორული მისი მონაწილეები არსებული მოელი შენატანებით და თუ ეს საკმარისი არ არის, საზოგადოების წევრები პასუხს ავტორული მისი მონაწილეები შენატანების პროცესის მიზანისათვის გადაცემა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საზოგადოების სხვა მესაკუთრისათვის გადაცემა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საზოგადოების სხვა მონაწილეთა თანხმობით, საზოგადოების წესდებით დადგენილი წესით.

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონება იქმნება მონაწილეთა შენატანებით, მიღებული შემოსავლებითა და სხვა კანონიერი წყაროებით და ეკუთვნის მის მონაწილეებს საერთო-წილობრივი საკუთრების უფლებით.

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოების მონაწილე იურიდიული პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს.

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება პასუხს არ ავებს მისი შენატანების იმ ვალდებულებებზე, რომლებიც დაკავშირებული არ არის საზოგადოების საქმიანობასთან.

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება მოქმედებს მისი მონაწილეების მიერ დამტკიცებული საკუთარი წესდების მიხედვით, აქვს საკუთარი საფირმო სახელშოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

მუხლი 18. სააქციო საზოგადოება

სააქციო საზოგადოება წარმოადგენს ხელშეკრულების საფუძველზე ერთობლივი სამეცნიერო საქმიანობისათვის ფიზიკური და (ან) იურიდიული პირების გაერთიანებას, რომელთაც აქვთ აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი.

სააქციო საზოგადოების ქონება იქმნება მონაწილეთა შენატანებით, აქციების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლებით და სხვა კანონიერი წყაროებით. აქციების თავისუფალი გაყიდვა ნებადართულია და იგი შეიძლება



შეიძლება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის ზაღა
ნილი პირობებით.

საქციო საზოგადოება არის იურიდიული პირი. მისი მონაწილეები საქციო საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს ავებენ მხოლოდ საკუთარი შენატანების (მათი კუთვნილი ქადაგის პაკეტის) ფარგლებში.

საქციო საზოგადოება პასუხს არ ავებს მასში მონაწილე აქციონერების ქონებრივ ვალდებულებებზე.

საქციო საზოგადოება მოქმედებს მისი მონაწილეების მიერ დამკიცებული საკუთარი წესდების საფუძველზე. აქვს საკუთარი საფირმო სახელშორისა, რომელიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმა.

საქციო საზოგადოების მონაწილე იურიდიული პირები ინარჩუნებული დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს.

მუხლი 19. სახელმწიფო საწარმო

სახელმწიფო საწარმოს აფუძნებს საქართველოს რესპუბლიკის და მასშე შემავალი ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ოგანონ, რომელიც უფლებამოსილია მართოს სახელმწიფო ქონება.

სახელმწიფო საწარმოს ქონება, აგრეთვე სახელმწიფოს შენატანები სხვ. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა ქონებაში იქმნება სამართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტით, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტებით, სხვა სახელმწიფო საწარმოების შენატანებით, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ყველა კანონიერი შემთხვევით. აღნიშნული ქონება საწარმოს გადაცემა სრულ სამეურნეო გამგებლობაში.

სახელმწიფო საწარმო არის იურიდიული პირი. იგი თვის ვალდებულებებზე პასუხს ავებს მთელი თვისი ქონებით. სახელმწიფო პასუხს არ ავებს სახელმწიფო საწარმოს ვალდებულებებზე, სახელმწიფო საწარმო კი — სახელმწიფოს ვალდებულებებზე.

სახელმწიფო საწარმოს აქვს საკუთარი საფირმო სახელშორება. რომელიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

მუხლი 20. ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმო

ადგილობრივი საწარმოს აფუძნებს ადგილობრივი მმართველობის ოგანონ. ადგილობრივი საწარმოს ქონება, აგრეთვე ადგილობრივი მმართველების ორგანოების შენატანები სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა ქონებაში იქმნება ადგილობრივი ბიუჯეტის, სხვა ადგილობრივი საწარმოების სახსრებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ყველა კანონიერი შემთხვევის ხარჯზე. აღნიშნული ქონება საწარმოს გადაცემის სრულ სამეურნეო გამგებლობაში.

ადგილობრივი საწარმო არის იურიდიული პირი. იგი საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს ავებს მთელი თვისი ქონებით. ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმო პასუხს არ ავებს ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ვალდებულებებზე.

თველობის ორგანოების ვალდებულებებზე, ხოლო ეს უკანასკნელი — აღვი-
ლობრივი საწარმოების ვალდებულებებზე.

მუნიციპალურ საწარმოს აქვს საკუთარი სახელშოდება, რომელშიც მი-
თიობულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

მუხლი 21. საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმო

საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმოს აფუძნებს საზოგადოებრივი
ორგანიზაცია (ამ ორგანიზაციის მმართველობის ორგანო).

იგი იქმნება საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქონებით, რომელიც მას
გადაეცემა სრულ სამეურნეო გამგებლობაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმო არის იურიდიული პირი და
საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. საწარმო
პასუხს არ აგებს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ვალდებულებებზე, ხოლო
ის უკანასკნელი კი — საწარმოს ვალდებულებებზე.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმოს აქვს საკუთარი საფირმო სა-
ხელშოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლე-
ბრივი ფორმა.

მუხლი 22. ქვესაწარმოები, ფილიალები და წარმომადგენლობები

საწარმოს შეუძლია შექმნას ქვესაწარმოები იურიდიული პირის უფლე-
ბით, აგრეთვე ფილიალები, წარმომადგენლობები, განყოფილებები და სხვა
სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, მო-
ქმედებენ საწარმოს მინიჭილობით და უფლება აქვთ გახსნან ანგარიშსწო-
რებისა და მიმღინარე ანგარიშები.

ქვესაწარმოები მოქმედებენ დამფუძნებელი საწარმოს მიერ დამტკიცე-
ბული წესდების საფუძველზე, ხოლო ფილიალები, წარმომადგენლობები და
სხვა სტრუქტურული ერთეულები — საწარმოს მიერ დამტკიცებული დებუ-
ლების საფუძველზე.

ქვესაწარმოები, ფილიალები, წარმომადგენლობები და სხვა სტრუქტუ-
რული ერთეულები იქმნება იმ წესების მიხედვით, რომლებიც გამოიყენება სა-
წარმოების შექმნისა და რეგისტრაციისათვის.

მუხლი 23. საწარმოთა გაერთიანებები

საწარმოები შეიძლება გაერთიანდნენ კავშირებში, ასოციაციებში, კონ-
ფერენციებში, დარგთაშორის, რეგიონალურ და სხვა სახის გაერთიანებებში. გაე-
რთიანებები იქმნება ნებაყოფლობითი ხელშეკრულების საფუძველზე ურ-
თიერთშორის საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესების, მათი უფლებების
დაცვის, საწარმოთა სამეურნეო, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური
შესაძლებლობების გაფართოების მიზნით. დამფუძნებელთა გადაწყვეტილე-
ბით გაერთიანებებს შეიძლება გადაეცეთ ფალეული საწარმო-სამეურნეო და
სხვა ფუნქციები.

გაერთიანება არის იურიდიული პირი. მასში შემავალი საწარმოები ინარ-
ჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს. გაერთიანე-
ბათა მმართველ ორგანოებს არ გააჩნიათ განმკარგულებელი ძალაუფლება:



იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც შედიან გაერთიანებებში და ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს საწარმოებთან ხელშეკრულების საფუძველზე.

გაერთიანებები იქმნება:

საწარმოთა გაერთიანებებში ნებაყოფლობითი შესვლისა და გაერთიანების წესდებით განსაზღვრული წესით იქიდან გამოსვლის საფუძველზე.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის საფუძველზე;

გაერთიანების ორგანიზაციული ფორმის თავისუფალი არჩევანის საფუძველზე.

ცალკეული სახის გაერთიანებების არსი და სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.

გაერთიანებას აქვს საკუთარი სახელწოდება, რომელშიც მითითებულია მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. იგი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის, გაერთიანების წესდების და დამფუძნებელთა ხელშეკრულების საფუძველზე.

გაერთიანებათა შექმნა, რეგისტრაცია და ლიკვიდაცია ხდება ამ კანონის მიხედვით, საწარმოთათვის დადგენილი წესით.

გ ა რ ი IV

საწარმოთა საქმიანობის საფუძვლები

მუხლი 24. საწარმოთა საქმიანობის სფერო

საწარმოს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც არ არის შეზღუდული ამ ან სხვა კანონით, საწარმოს წესდებით, მისი შექმნის შესახებ ხელშეკრულებით, რომელიმე სხვა დამფუძნებელი დოკუმენტით, ან არ არის აყრალული სხვა წესით.

ზოგიერთი სახის სამეურნეო საქმიანობას, რომელთა ნუსხასაც განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, საწარმო შეიძლება ეწეოდეს მხოლოდ სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) მიღების შემთხვევაში.

ლიცენზიების მიღების წესს აღვენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოთა ფიზიკურ, იურიდიულ პირთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობისათვის აუცილებელია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ნებართვა. ასეთი ნებართვა არ მოეთხოვებათ სხვა სახელმწიფობის იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთაც აქვთ სურვილი შეიძინონ ან ციები საქართველოში საზოგადოებრივისაგან.

მუხლი 25. საწარმოს საქმიანობის საწარმოო პროგრამა

საწარმო დამოუკიდებლად აღვენს თავისი საქმიანობის საწარმოო პროგრამის და განსაზღვრავს განვითარების პრესეკურივებს. სახელმწიფო (აღგილ-ბრივი მმართველობის) ორგანოებთან აუცილებელ შეთანხმებას მოითხოვს იმ ღონისძიებათა გეგმაში შეტანა, რომელთა განხორციელებამ შეიძლება გა



მოიწვიოს უარყოფითი ეკოლოგიური, სოციალური, დემოგრაფიული ანდესტრუქტურული შედეგები იმ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის, სადაც საწარმო იმყოფება.

მუხლი 26. ფასები და ფასწარმოქმნა

საკუთარი პროდუქციის, შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და წარმოების ნარჩენების რეალიზაციას საწარმო ახდენს დამოუკიდებლად განსაზღვრული ფასებითა და ტარიფებით ან სახელშეკრულებო ფასებით, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — სახელმწიფო ფასებით.

სახელმწიფოს უფლება აქვს არეგულიროს ფასები ანტიმონპოლიური კანონმდებლობის შესაბამისად.

იმ პროდუქციისა და რესურსების ნუსხას, რომლებზეც ვრცელდება ფასების სახელმწიფო რეგულირება, განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. !

მუხლი 27. საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობანი

საწარმოს ფინანსური რესურსების შექმნის წყაროებია: მოგება, ამორტიზაციის ანარიცხები; შემოსავლები ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან; შრომითი კოლექტივის წევრების, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების საბაო ან სხვა შენატანები, აგრეთვე სხვა შემოსულობანი.

საწარმო სარგებლობს ბანკის კრედიტით კომერციულ საფუძველზე. საწარმომ ხელშექრულების საფუძველზე შეიძლება კრედიტი მიიღოს აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან. მას უფლება აქვს გახსნას საანგარიშოში და სხვა ანგარიშები ნებისმიერ ბანკში, სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან აწარმოოს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშოშორება. ნაღდი ანგარიშოშორება სხვადასხვა იურიდიულ პირებთან ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო და საკასო იპერაციების ჩატარებისათვის დადგენილი წესით.

საწარმო, რომელიც ვერ ასრულებს თავის საანგარიშგებო მოვალეობას, შეიძლება გამოცადდეს გადახდისუნაროვ (გაყორტებულად) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 28. საწარმოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა

საწარმო დამოუკიდებლად ახორციელებს საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. ამ საქმიანობის შედეგად მიღებული სავალუტო ამონაგები ჩაირიცხება საწარმოს სავალუტო ანგარიშზე. სავალუტო მოგებიდან საწარმო იხდის დაწესებულ გადასახადს სახელმწიფო ბიუჯეტში. დარჩენილი სავალუტო მოგება საწარმოს საკუთრებაა და გამოიყენება მისი შეხედულებისამებრ. სახელმწიფო ბიუჯეტში სავალუტო მოგებიდან გადარიცხვების განაკვეთების რეგულირება ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ამტკიცებს იმ პროდუქციის ნუსხას, რომლის ექსპორტზეც წესდება სახელმწიფო მონოპოლია.

საქართველოს უფლება აქვს ისარგებლოს საზღვარგარეთის ბანკების კრედიტით, აგრეთვე კომერციული კრედიტით უცხოურ ვალუტაზე, შეისყიდოს ვალუტა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან აუქციონებზე და სავალუტო ბირჟებზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 29. შრომითი ურთიერთობანი საწარმოში

დაქირავების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილი შრომითი ურთიერთობანი რეგულირდება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონმდებლობით.

ამხანაგობის წევრობაზე დამყარებული შრომითი ურთიერთობანი რეგულირდება საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტებით და საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო კანონმდებლობით. თითოეული მუშაკის შრომითი შემოსავალი განისაზღვრება საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგებში მისი შრომითი წელილის შესაბამისად. შემოსავლების მაქსიმალური სიდიდე განსაზღვრული არ არის.

შრომის ანაზღაურების ფორმებს, სისტემებსა და ოდენობას, აგრეთვე შემოსავლების სხვა სახეებს საწარმო განსაზღვრავს დამოუკიდებლად.

მეწარმე, მიუხედავად საწარმოს საკუთრების სახისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი შრომის ანაზღაურების მინიმუმი, შექმნას შრომისათვის აუცილებელი პირობები და განახორციელოს მუშაკთა სოციალური დაცვა.

მუხლი 30. საწარმოს სოციალური საქმიანობა

საწარმო საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოფს თავისი მუშაკების სოციალური გარანტიების დაცვას. საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს თავისი მუშაკებისათვის შრომის უსაფრთხო პირობები. იგი დადგენილი წესით პასუხს აგებს მათი კანმრთელობისა და შრომისუნარიანობისათვის მიყენებული ზიანის გამო.

საწარმოს შეუძლია თავის მუშაკებს დამოუკიდებლად მისცეს დამატებითი შევებულება, დაუწესოს შემოკლებული სამუშაო დღე და სხვა შეღავთები.

მუხლი 31. საწარმოს საქმიანობის აღრიცხვა და ანგარიშება, კომერციული საიდუმლოება და საქმიანობისადმი კონტროლი

საწარმო ვალდებულია აწარმოოს აღრიცხვა და ანგარიშება სახელმწიფო მმართველობის შესაბამისი ორგანოების მიერ დადგენილი წესით. სტატისტიკური ანგარიშებით გაუთვალისწინებელი მონაცემები საწარმოების მიერ შეაძლება გაცემულ იქნეს ხელშეკრულების საფუძველზე ან იმ ორგანოთა მოთხოვნით, რომელთაც კანონმდებლობით უფლება აქვთ გააკონტროლონ საწარმოთა საქმიანობის ცალკეული სფერო.

საწარმო აქვთ წესით თავისი საქმიანობის შესახებ მონაცემებს წლიური ბალანსის ჩათვლით საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.



სახელმწიფო ანგარიშგების დამახინვებისათვის საწარმოს ან თანამდებობას პირებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით კეთილმარტინის სამართლის პასუხისმგებლობა.

საწარმოს კომერციული საიდუმლოებაა წარმოებასთან, ტექნიკურ ინფორმაციასთან, მართვასთან, ფინანსურ და სხვა სახის საქმიანობასთან დაკავშირებული ის მონაცემები, რომელთა გამოქვეყნებაც ზიანს მიაყენებს საწარმოს ინტერესებს.

იმ მონაცემების გამოყენებისა და დაცვის წესს, რომლებიც წარმოადგენ საწარმოს კომერციულ საიდუმლოებას, განსაზღვრავს მეწარმე.

საწარმოთა საქმიანობის იმ სახეების ნუსხას, რომელთა შესახებ მონაცემები არ შეიძლება იყოს კომერციული საიდუმლოება, განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დგინდება პასუხისმგებლობა საწარმოს კომერციული საიდუმლოების გამუღავნებისათვის ან მისი შენახვის წესის დარღვევისათვის.

საწარმოს სამეცნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზია ტარდება წელწადში ერთხელ მესაკუთრის ინიციატივით.

საწარმოს მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულებას ამოწმებს საგადასახადო სამსახური, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მისი შემოწმების შედეგების საფუძველზე — სამართალდამცავი ორგანოები. საწარმოს საქმიანობის ცალკეულ მხარეებს ამოწმებენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები თვითი კომპეტენციის ფარგლებში. შემოწმებათა შედეგები ეცნობება საწარმოს.

საწარმოს უფლება აქვს არ შეასრულოს ამ ორგანოთა მოთხოვნა საკითხებზე, რომლებიც არ შედის მათ კომპეტენციაში და არ გააცნოს მათ მასალები, რომლებიც არ ეხება კონტროლის საგანს.

მუხლი 32. საწარმოთა პასუხისმგებლობა

სახელშეკრულებო, საკრედიტო, საანგარიშგებო და საგადასახადო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის, ისეთი საქონლის რეალიზაციისათვის, რომელთა გამოყენებამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობას, ასევე სამეწარმეო საქმიანობისათვის დადგენილი სხვა წესების დარღვევისათვის საწარმო პასუხს ავებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

საწარმო ვალდებულია აანაზღაუროს მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენებით, გარემოს დაბინძურებით, წარმოების უსაფრთხოების წესებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევით გმოწვეული ყოველგვარი ზარალი.

გ ა რ ი , V

საწარმოს მართვა

მუხლი 33. საწარმოს მართვის საფუძვლები

საწარმოს მართვა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისა და საწარმოს წესდების საფუძველზე. საწარმო დამოუკიდებლად განსაზღვრავს მართვის ორგანოების სტრუქტურას და მათ შესაბამ ხარჯებს.

მესაკუთრე თავის უფლებას წარმოების მართვის სფეროში ახორციელებს უშუალოდ ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოების (ცალკეული პირების) მეშვეობით.

მესაკუთრეს ან მის მიერ უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მოახდინოს წარმოების მართვის უფლების სრული ან ნაწილობრივი დელეგირება საწარმოს მართვის იმ უმაღლესი ორგანოსადმი, რომელიც გათვალისწინებულია მის წესდებაში (საბჭო, გამგეობა და ა. შ.).

ცალკეული სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთ მართვა ხორციელდება საწარმოს წესდებით და საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 34. საწარმოს ხელმძღვანელი

საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავება (დანიშვნა, არჩევა) წარმოადგენს მესაკუთრის უფლებას. ამ უფლების რეალიზაციას იგი ახდენს უშუალოდ აგრეთვე მის მიერ უფლებამოსილი იმ ორგანოების მეშვეობით, რომელთაც დალეგირებული აქვთ საწარმოს მართვის უფლება.

სხვადასხვა დამფუძნებლის მიერ შექმნილი საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავება (დანიშვნა, არჩევა) ხდება დამფუძნებელთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, საწარმოს ქონებაში მათი წილობრივი მონაწილეობის გათხლისწინებით.

საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავების (დანიშვნის, არჩევის) დრო მასთან იდება ხელშეკრულება (კონტრაქტი), სადაც მას განესაზღვრება უფლება-მოვალეობანი, პასუხისმგებლობა ქონების მესაკუთრისა და საწარმო მუშაკთა მიმართ, შრომის ანაზღაურების პირობები, კონტრაქტის ვადა, დაკავებული თანამდებობიდან /გათავისუფლების პირობები.

საწარმოს ხელმძღვანელი მინდობილობის გარეშე მოქმედებს საწარმოს სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს, განაგებს ქონებას, დებს ხელშეკრულებებს (მათ შორის შრომის), გასცემს მინდობილობებს, ხსნის ბანკებში ს ანგარიშისწორებო და სხვა ანგარიშებს, სარგებლობს საწარმოს სახსრები განკარვების უფლებით, ამტკიცებს შტატებს, გამოსცემს ბრძანებებს, რომელი შესრულება უცილებელია საწარმოს ყველა მუშაკისათვის.

საწარმოს შექმნისა და მისი საქმიანობის შეწყვეტის
ზოგადი პირობები

მუხლი 35. საწარმოს შექმნის წესი

საწარმო შეიძლება შეიქმნას ქონების მესაკუთრების, მის მიერ უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილებით, აგრეთვე საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნათა გამო საწარმოთა იძულებითი გაყოფის გზით.

საწარმოს შექმნის წესი და თანამიმდევრობა განისაზღვრება ამ კანონით, ცალკეული სახის საწარმოების შესახებ შესაბამისი კანონებითა და მათი შექმნის მარეგლამენტირებელი ნორმატიული ქტებით.

მუხლი 36. საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტები

საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტებია წესდება და გადაწყვეტილება საწარმოს შექმნის შესახებ ან დამფუძნებელთა ხელშეკრულება.

წესდებაში მოცემულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, დასახელება, იურიდიული სტატუსი, ადგილმდებარეობა, საქმიანობის მიმართულებანი და საგანი, მართვის და კონტროლის ორგანოები, მოვების განაწილებისა და საწარმოს ფონდების წარმოქმნის წესი, საწარმოს რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის პირობები. სხვადასხვა სახის საწარმოთა წესდებაში შესაძლებელია სხვაგვარი მონაცემების შეტანაც. წესდებას ამტკიცებს დამფუძნებელი (დამფუძნებლები).

დამფუძნებელი დოკუმენტების შინაარსი, ფორმა და დამტკიცების წესი განისაზღვრება იმ ნორმატიული ქტებით, რომლებიც ახდენენ ცალკეული სახის საწარმოთა შექმნის რეგლამენტაციას.

მუხლი 37. საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაცია

საწარმო დაფუძნებულად ითვლება მისი სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან. არარეგისტრირებული საწარმოს საქმიანობა აკრძალულია. არარეგისტრირებული საწარმოს შემოსავალი ამოიღება სასამართლოს წესით და შეიტანება ადგილობრივ ან სახელმწიფო ბიუჯეტში.

საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციას საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით ახორციელებენ რაიონის და ქალაქის მმართველობის ორგანოები, ხოლო რაიონული დაყოფის მქონე ქალაქებში — მმართველობის რაიონული ორგანოები.

სხვადასხვა სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების რეგისტრაციას აწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმო იქმნება სახელმწიფო სახსრებით, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირების, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, მის რეგისტრაციას ახდენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო.

სახელმწიფო რეგისტრაციისათვის საწარმო იხდის სარეგისტრაციო გადასახადს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი მაღალ ნობით. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ რეგისტრირებულ საწარმოებს სარეგისტრაცია გადასახადი შეაქვთ ადგილობრივ ბიჭვეტში, ხოლო ყველა სხვა ზემთხვევაში — რესპუბლიკის სახელმწიფო ბიჭვეტში.

საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციისათვის შესაბამის ორგანოს წარე-დგინება შემდეგი დოკუმენტები:

დამფუძნებლის (დამფუძნებლების) განცხადება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

საწარმოს წესდება;

გადაწყვეტილება საწარმოს შექმნის შესახებ ან დამფუძნებელთა ხელ შეკრულება;

მოწმობა სარეგისტრაციო გადასახადის გადახდის შესახებ.

გადაწყვეტილება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების ან არგატარების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს ყველა საჭირო დოკუმენტის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

იმ შემთხვევაში, თუ დამფუძნებელ დოკუმენტებში მოხდება ცვლილებები ან შევა დამატებები, აგრეთვე საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის შემთხვევაში, აუცილებელია საწარმოს ხელახალი რეგისტრაცია ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. საწარმოს ხელახალი რეგისტრაცია აუცილებელია იმ შემთხვევაშიც, თუ იგი კანონით დადგენილი წესით გაიყიდება, გაიცემა იჯარით ან სხვა წესით გადაეცემა სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ან სახელმწიფოს.

საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები რეგისტრაციაში გამტარებელმა ორგანომ ათი დღის განმავლობაში უნდა აცნობოს საქართველოს რესაცუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილ იმ ორგანოს, რომელსაც ევალება სახელმწიფო რეგისტრის წარმოება.

მუხლი 38. უარი საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციაზე

საწარმოს შეიძლება უარი ეთქვას სახელმწიფო რეგისტრაციაზე იმ შემთხვევების, თუ დამფუძნებელი დოკუმენტები არ შეესაბამება საქართველოს რესაცუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სხვა ნებისმიერი მოტივით რეგისტრაციაზე უარის თქმა უკანონოა.

შესაბამისი ორგანო ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში წერილობითი ფორმით აცნობოს საწარმოს დამფუძნებელს თავისი გადაწყვეტილება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების ან მასზე უარის შესახებ.

საწარმოს რეგისტრაციაზე უარი შეიძლება გასაჩიტდეს. დამფუძნებელ შეუძლია სასამართლო წესით აინაზღაუროს ის ზარალი, რომელიც მას მაყენა შესაბამისი ორგანოს უკანონო გადაწყვეტილებამ.

მუხლი 39. ნებართვა. მიწის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსების გ. მოყოფის შესახებ

იმ შემთხვევებში, როცა საწარმოს საქმიანობისათვის საჭიროა მიწის ნა

კვეთის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსის გამოყოფა, ნებართვას განცემული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი ორგანო.

მმართველობის აღნიშნული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას მიწის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსის გამოყოფის შესახებ მეწარმის განცხადების საფუძველზე. მმართველობის ეს ორგანო ვალდებულია განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში განიხილოს საკითხი მიწის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსის გამოყოფის შესახებ და მიღებული გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით სამი დღის განმავლობაში აცნობოს საწარმოს დამფუძნებელს.

მმართველობის ორგანოს შეუძლია არ გასცეს მიწა ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსი იმ შემთხვევაში, თუ:

საწარმოს მავნე გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და ბუნებაზე აღემატება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ ეკოლოგიურ და სამედიცინო ნორმებს;

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საწარმოს დამფუძნებელს უფლება აქვს გაასაჩივროს მმართველობის შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილება მიწის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსების გამოყოფაზე უარის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსის გამოყოფიდან ერთი წლის განმავლობაში საწარმო არ იქნება რეგისტრირებული დამფუძნებლის (დამფუძნებლების) მიერ, გადაწყვეტილება კარგას ძალას.

მუხლი 40. საწარმოს ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

საწარმოს ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია შეიძლება მოხდეს მესაკუთრის ან მისი უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით. საწარმოს ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს იგრეთვე სასამართლომ და საარბიტრაჟო სასამართლომ საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესურულებლობის შემთხვევაში საწარმოს შეიძლება აეკრძალოს საქმიანობა, თუ მან განსაზღვრულ დროში ვერ უზრუნველყო ამ მოთხოვნათა დაცვა.

საწარმო ლიკვიდირებულიდ ან რეორგანიზებულად ითვლება სახელმწიფო რეგისტრაციის რეესტრიდან მისი ამოღების მომენტიდან.

საწარმოს რეორგანიზაცია შეიძლება მოხდეს საწარმოთა ურთიერთშერწყმის ან მათი გაყოფის გზით. როგორც ურთიერთშერწყმის, ისე გაყოფის შემთხვევაში რეორგანიზებული საწარმოს ქონებრივი უფლებები და მოვალეობები გადადის ახლადშექმნილ საწარმოზე.

საწარმოს ლიკვიდაცია ხორციელდება სალიკვიდაციო კომისიის ან სხვა ორგანოს მიერ, რომელსაც ამ მიზნით ქმნის საწარმოს ქონების მესაკუთრე



ან მისი ოწმუნებული ორგანო. მათი გადაწყვეტილებით ლიკვიდირებული შემთხვევაში დაება დაეკისროს თვით საწარმოს მართვის ორგანოსაც.

საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში მისი ლიკვიდაცია ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

სალიკვიდაციო კომისიის (ლიკვიდაციის განმახორციელებელი ორგანო) დანიშვნის მომენტიდან საწარმო იღებს სალიკვიდაციო საწარმოს სტატუსს: საწარმოს მართვის ორგანოებს ერთმევათ უფლებამოსილება; საწარმოს მართვის ორგანოების ფუნქციებს ასრულებს სალიკვიდაციო კომისია ან ლიკვიდაციის განმახორციელებელი სხვა ორგანო; საწარმოს უფლება ეჭლევა განახორციელოს მხოლოდ ისეთი გარიგებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება სალიკვიდაციო საწარმოს საქმიანობის მარეგლამენტირებელ კანონებს.

მესაკუთრე, სასამართლო ან ის ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო ქადაგისა და დამფუძნებელი დოკუმენტების მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ადგენს ლიკვიდაციის წესს და ვადის, რომლის ხანგრძლივობაც როგორც წესი, არ უნდა იყოს ორ თვეზე ნაკლები ლიკვიდაციის შესახებ განცხადების გამოქვეყნების მომენტიდან.

სალიკვიდაციო კომისია ან სხვა ორგანო, რომელიც ახორციელებს საწარმოს ლიკვიდაციას, საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში აქვთ განცხადებას ლიკვიდაციის და კრედიტორების პრეტენზიების წარმოდგენის ვადებისა და წესის შესახებ; სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია ამოიღოს საწარმოს დებიტორული დავალიანებები და გამოავლინოს კრედიტორთა პრეტენზიები; იგი აფასებს საწარმოს სახელი ასებულ ქონებას; ახდენს ანგარიშს წორებას კრედიტორებთან; ადგენს სალიკვიდაციო ბალანსს და წარუდგენს მას მესაკუთრეს ან სალიკვიდაციო კომისიის შემქმნელ ორგანოს.

მუხლი 41. კრედიტორთა პრეტენზიების დაქმაყოფილება

კრედიტორთა პრეტენზიები სალიკვიდაციო საწარმოსადმი კმაყოფილდება ამ საწარმოს ქონებიდან, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, უწინარეს ყოვლისა, იფარება ვალდებულება ბიუჯეტის წინაშე.

პრეტენზიების წარმოსადგენად დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ გამოვლენილი და წარმოდგენილი პრეტენზიები კმაყოფილდება საწარმოს ქონებიდან, რომელიც დარჩა პირველი რიგის პრეტენზიების, გამოვლენილ პრეტენზიების, აგრეთვე დადგენილ ვადაში განცხადებული პრეტენზიები და კმაყოფილების შემდეგ.

ქონების უკმარისობის გამო დაუკმაყოფილებული პრეტენზიები დაფარულად ითვლება. დაფარულად ითვლება აგრეთვე პრეტენზიები, რომლებიც სალიკვიდაციო კომისიამ ან ლიკვიდაციის განმახორციელებელმა სხვა ორგანომ არ ცნო კანონიერად და კრედიტორებმა მას შემდეგ, რაც მიიღეს შეტყობინება პრეტენზიების მთლიანად ან ნაწილობრივ არცნობის შესახებ, ერთ-



თვის განმავლობაში არ შეიტანეს სარჩელი სასამართლოში ან საარბიტრაციული სასამართლოში მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო.

საწარმოს ლიკვიდაციის დროს ხორციელდება ღრმებითი გადასახდელების კაპიტალიზაცია, რომლებიც ამ საწარმოს მართებს მოქალაქისათვის დასახიჩრების, ჯანმრთელობის სხვა დაზიანების მიყენების ან მისი გარდაცვალების გამო.

საწარმოს ლიკვიდაციის დროს მის მუშაკებს კუთვნილი ქონება მიეცემათ ფულადი ფორმით ან ფასიანი ქაღალდებით კრედიტორთა პრეტენზიების დაქმაყოფილების შემდეგ.

კრედიტორებისა და საწარმოს მუშაკთა პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი ქონება გამოიყენება მესაკუთრის მითითებისამებრ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 25 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

484 „სამეჯარეო საჯაროების საცუდვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედო უზრუნველყოფის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღგენს:

„სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1991 წლის ბირველი ოქტომბრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი ✓

485 დასაქმების შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკას, უმუშევრართა სოციალური დაცვის ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს.

კანონი ვრცელდება რესპუბლიკის კველა მცხოვრებზე. თანაბარ პირობებში სამუშაოზე მოწყობისას უპირატესობით სარგებლობენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი.

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები დასაქმები სფეროში

დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

ა) საქართველოს ყველა მოქალაქისათვის შრომის უფლების განხორციელების თანასწორი შესაძლებლობის უზრუნველყოფა რასის, ეროვნების, სქესის, რელიგიური მრჩამისის, პოლიტიკური შეხედულებებისა და ქონებრივ მდგრადირების მიუხედავად;

ბ) მოქალაქის შრომითი ინიციატივის მხარდაჭერა და წახალისება;

გ) მოქალაქის დასაქმებისათვის ხელშეწყობა, უმუშევრობის მაქსიმალურად შემცირება;

დ) უმუშევრის სოციალური დაცვის უზრუნველყოფა;

ე) დასაქმების სფეროში და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სხვ. მიმართულებით (სოციალური უზრუნველყოფა, შემოსავლების ზრდა და განწილება, ინფლაციის თავიდან აცილება და სხვა) გასატარებელ ღონისძიებათა კოორდინაცია;

ვ) დასაქმების სფეროში გასატარებელ ღონისძიებათა შემუშავების, რეალიზაციისა და კონტროლისათვის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან პროფესიონალებისა და მეწარმეთა ასოციაციების (კავშირების) აქტიური თანამშრომლობა:

ზ) დასაქმების პრობლემათა გადაჭრაში საერთაშორისო თანამშრომლობა.

მუხლი 2. დასაქმების ფორმები

მოქალაქის განსაკუთრებული უფლებაა იყოს თავისი შრომის უნარის სრული განმგებელი და განხორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

არსებობს დასაქმების ორი ფორმა:

ა) მოქალაქის საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს პირიდ და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაქმაყოფილებას და, როგორც წესი, ანაზღაურდება ხელფასით ან შემოსავლის სხვა ფორმით;

ბ) მოქალაქის საქმიანობა, რომელსაც არ ახლავს შემოსავალი (ზავშვების აღზრდა, შრომა საოჯახო მეურნეობაში, წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლა, საზოგადოებრივი მოღვაწეობა).

მოქალაქის დაუსაქმებლობა არ შეიძლება ჩაითვალოს აღმინისტრაციულ სისტემის სამართლისა და სხვა სახის პასუხიგებაში მიკემის საფუძვლად.

სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქის შრომის უფლების თავისუფალ განხორციელების პირობების შექმნას.

ანაზღაურებადი დასაქმების მქონე მოქალაქეს განეკუთვნება:



ა) მოქალაქე, რომელიც მუშაობს ქირით, მათ შორის ის, რომელიც ^{უკრაინულია} სამწერლისათვის სამუშაოს ასრულებს არასრული სამუშაო ღლის (კუირის) განმავლობაში, აგრეთვე შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე, რომელიც დროებით არ ასრულებს სამუშაოს ავადყოფობის, შეებულებაში ყოფნის, გაფიცვის, წარმოების ღრიებით შეჩერების გამო;

ბ) მოქალაქე, რომელიც ეწევა მეწარმეობას, ინდივიდუალურ შრომით და შემოქმედებით საქმიანობას, სამეურნეო მძნავაზებებისა და საზოგადოებების წევრები, ფერმერულ და გლეხურ მეურნეობებში დასაქმებული პირები და წარმოების მონაწილე მათი ოჯახის წევრები;

გ) მოქალაქე, რომელიც არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებულია ანაზღაურებად თანამდებობაზე;

დ) მოქალაქე, რომელიც მასახურობს შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიაში, სახელმწიფო უშიშროებისა და სამართალდამცავ ორგანოებში;

ე) სხვა ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დროებით იმყოფება საქართველოს რესპუბლიკაში, მუშაობს მის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში საკუთრების ფორმის მოწედვად, თუ მისი საქმიანობა დაყვანილებული არ არის უცხოეთის სახელმწიფო საელჩოსა და წარმომადგენლობის (მისის) ფუნქციონირებასთან;

ვ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც მუშაობს საზღვარგარეთ.

მუხლი 3. უმუშევარი

უმუშევრად ითვლება შრომისუნარიანი მოქალაქე შრომისუნარიან ასაკში, რომელსაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არა აქვს სამუშაო და შესაბამისად ხელფასი (შრომითი შემოსავალი), რეგისტრირებულია შრომის სახელმწიფო ბირჟაზე და ეს სამსახური ვერ სთავაზობს მას შესაფერის სამუშაოს.

უმუშევარი მოქალაქის რეგისტრაციის წესი და პირობები განისაზღვრება ამ კანონით და რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული შესაბამისი დებულებით.

მოქალაქეს, რომელსაც დადგენილი წესის მიხედვით არ შეიძლება მიენიჭოს უმუშევრის სტატუსი, უფლება აქვს დადგეს შრომის სახელმწიფო ბირჟის აღრიცხვაზე როგორც სამუშაოს მაძიებელი.

მუხლი 4. შესაფერისი სამუშაო

მოქალაქისათვის, რომელიც გამოთავისუფლდა სამუშაოდან და არა აქვს ხელფასი (შრომითი შემოსავალი) და რეგისტრაცია გაიარა შრომის სახელმწიფო ბირჟაზე, შესაფერისად ჩაითვლება სამუშაო, რომელიც შეესაბამება მის პროფესიულ მომზადებას, ასაკს, სქესს, შრომით სტაჟს, ჯანმრთელობის მდგომარეობას და მოხერხებულია საბინაო-საყოფაცხოვრებო და სატრანსპორტო თვალსაზრისით.

თუ უმუშევრობის პირველი ექვსი თვის განმავლობაში დასაქმების სახელმწიფო ორგანოებმა მოქალაქეს ვერ გამოუნახეს შესაფერისი სამუშაო, შესა-



უერისად შეიძლება ჩაითვალოს სამუშაო, რომელიც საჭიროებს შეჩრდის (სპეციალობის) შეცვლას, ითვალისწინებს მოქალაქის ასაკს, სქესს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, შრომით სტაჟსა და შრომის კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

იმ პირისათვის, რომელიც პირველად ეძებს სამუშაოს და არა აქვს პროფესია (სპეციალობა), შესაფერისად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო (მათ შორის დროებითი), რომელიც ითვალისწინებს მოქალაქის ასაკს, სქესს, ჯანმრთელობის მდგომარეობას და შრომის კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს ან ისეთი სამუშაო, რომელიც საჭიროებს მის წინასწარ პროფესიულ მომზადებას.

შუბლი 5. შრომის უფლების დაცვის სახელმწიფო გარანტიები უმუშევარს სახელმწიფოსაგან გარანტირებული აქვს:

ა) უფლება ისარგებლოს უფასო პროფესიული მომზადებით, გადამზადებით და პროფესიული კონსულტაციით;

ბ) საქმიანობისა და სამუშაოს სახეობის არჩევის თავისუფლება;

გ) შესაფერისი სამუშაოს შერჩევასა და სამუშაოზე მოწყობაში უფასო ხელშეწყობა;

დ) პროფესიის და სამუშაოს მიღების, პროფესიული მომზადების, დასაქმებისა და შრომის პირობების შერჩევის დროს ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან დაცვა;

ე) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის დაკვეთის შესაბამისად სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა შესაფერის სამუშაოთი უზრუნველყოფა;

ვ) შრომის სახელმწიფო ბირჟის საგზურის საფუძველზე ახალ საცხოვრებელ და სამუშაო აღგილზე გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯების კოპენსაცია;

ზ) ღროებით სამუშაოებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ სტატისტიკური მონაცემებისა და საინფორმაციო მასალების სისტემატურ პუბლიკაციას სამუშაო ძალაშე მოთხოვნა-მიწოდების, შრომითი მოწყობის შესაძლებლობების, პროფესიულ მომზადებისა და გადამზადების, სოციალურ-შრომითი რეაბილიტაციისა და დასაქმების სფეროს სხვა საკითხების თაობაზე.

შენიშვნა: ცნებაში „გადამზადება“ იგულისხმება კვალიფიკაციის ამაღლებაც.

შუბლი 6. დასაქმების დამატებითი გარანტიები მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებისათვის

სახელმწიფო დასაქმების დამატებითი გარანტიებით უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე დაბალკონურენტუნარიან მოქალაქეს (ახალგაზრდა, ინვალიდი, მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობელი, რომელიც ზრდის 14წლამდე ასაკის ან ინვალიდ ბავშვს, წინასაპენსიო ასაკის მოქალაქე, მოქალაქე, რომელსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ჰქონდა სამუშაო, სახელის აღმასრულებელი ან იძულებითი მკურნალობის დაწესებულებიდან გა

თავისუფლებული პირი), რომელსაც უჭირს სამუშაოს მოქება და საჭიროებს განსაკუთრებულ სოციალურ დაცვას. მოქალაქეთა ამ კატეგორიისათვის სახელმწიფო ქმნის სპეციალურ დამატებით სამუშაო აღილებს, სპეციალიზებულ საწარმოებს, მათ შორის საწარმოებს ინვალიდებისათვის, ახორციელებს სწავლების სპეციალურ პროგრამებს და სხვა ონისძიებებს.

მმართველობის აღილობრივი ორგანოები საკუთარი სახსრებით, დასაქმების სახელმწიფო ორგანოების რეკომენდაციით, საგადასახადო შეღავათების მიცემითა და სხვა წყაროებით მოქალაქეთა ზემოთ დასახელებული ჯგუფების დასაქმებისათვის საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს უწესებების სპეციალური სამუშაო აღილების საგალდებულო მინიმალურ რაოდენობას.

მუხლი 7. კანონმდებლობა დასაქმების შესახებ

ურთიერთობანი დასაქმების სფეროში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგულირდება ამ კანონით, საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონმდებლობით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა ნორმატიული აქტებით.

ვეტონომიურ რესპუბლიკათა კანონმდებლობით დასაქმების შესახებ, რესპუბლიკის თავისუფრებებიდან გამომდინარე შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს უმუშევართა სოციალური დაცვის დამატებითი პირობები და გარანტიები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას დასაქმების შესახებ.

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით ან უთანხმებით დადგენილია სხვა წესები, რომლებიც განსხვავდება დასაქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისაგან, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების წესები.

კ ა რ ი 11.

მოქალაქეს უფლება დასაქმებაზე

მუხლი 8. სამუშაოზე მოწყობის უფლება

საქართველოს მოქალაქეს აქვს სამუშაოს თავისუფლად არჩევის უფლება საწარმოსათვის, დაწესებულების და ორგანიზაციისათვის (მისი საკუთრების ფორმის მიუხედავად) უშუალო მიმართვის გზით ან შრომის სახელმწიფო ბირების მეშვეობით.

სამუშაოზე მიღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაციასა და მოქალაქეს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რის შესახებაც აუცილებლად უნდა ეცნობოს შრომის სახელმწიფო ბირებს.

შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) დადების წესი და პირობები რეგულირდება რესპუბლიკის შრომის კანონმდებლობით.



შუხლი 9. მოქალაქის უფლება საზღვარგარეთ შრომით საქმიანობაზე საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს აქვს საზღვარგარეთ შრომითი საქმიანობის უფლება.

ამ მოქალაქის უფლებებისა და ინტერესების დაცვის წესი და საშუალება ლო დახმარების პირობები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის და შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობით, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკისა და სხვა სახელმწიფოს შორის დადგებული შეთანხმებებით.

შუხლი 10. უმუშევრის სოციალური დაცვა

მოქალაქეს აქვს უმუშევრობისაგან სოციალური დაცვის უფლება. დაღვენილი წესით უმუშევრად ცნობილ პირს უფლება აქვს მიიღოს შემწეობა უმუშევრობისათვის

შუხლი 11. დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მუშაյთა ქმედების გასაჩინოების უფლება

მოქალაქეს უფლება აქვს გაასაჩინოოს დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მუშაյთა ქმედება სასამართლოში საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გ ა რ ი III

დასაქმების სახელმწიფო რეგულირება და ორგანიზაცია

შუხლი 12. დასაქმების სახელმწიფო რეგულირება

მოსახლეობის დასაქმებას ორეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დასაქმების ერთიანი პოლიტიკის პრაქტიკულ რეალიზაციისათვის და მოქალაქეთა შესაბამისი ვარანტიების უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან იქმნება და დასაქმების სახელმწიფო სამსახური — დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის, შრომის სახელმწიფო პირების უმუშევართა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სისტემის სახით. იგი ხორციელებს სათანადო პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციას, ამ მიზნით მონაცილეობს საფინანსო საკრედიტო, სინკვესტიციონ და საგადასახადო პოლიტიკის გატარებაში, საჭირო ძალების რაციონალური განლაგების, მოქალაქეთა შრომითი მობილური მდინარეებისა და შრომის მოქნილი რეჟიმების დანერგვის ლონისძიება.

შუხლი 13. შრომის სახელმწიფო პირება

უმუშევეართა სამუშაოზე მოწყობაში ხელშეწყობისა და მათი სოციალურ გარანტიების უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იქმნება შრომის სახელმწიფო პირება.

შრომის სახელმწიფო პირების საქმიანობა შიდარესპუბლიკურ რეგიონ ლურ დონეზე წარიმართება შრომის რეგიონალური პირების მეშვეობით.



ხოლო ქალაქებისა და რაიონებისა — რეგიონალური ბირჟების აღვილობრივი მინისტრის წარმომადგენლების მეშვეობით.

შრომის სახელმწიფო ბირჟის დებულებას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. იგი მოქალაქეებს ემსახურებს უფასოდ.

შრომის სახელმწიფო ბირჟის შემადგენლობაში იქმნება დასაქმების სახელმწიფო ინსპექცია, რომელიც ახორციელებს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მათი საკუთრების ფორმის მიუხედავად. მოქალაქეთა დასაქმების უფლების დაცვის კონტროლს. დასაქმების სახელმწიფო ინსპექციის საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს შრომის სახელმწიფო ინსპექცია.

რესპუბლიკაში კომერციული ბირჟების, სააგენტოებისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობა, რომელიც მოქალაქეთა სამუშაოზე მოწყობის, მომზადებისა და გადამზადების ფასიან მომსახურებას ეწევიან (მათ შორის საზოგადოებრივი), დაიშვება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიებით.

მუხლი 14. საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მონაწილეობა დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმის მიუხედავად, ხელს უწყობენ დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, რისოვისაც:

ა) იცავენ ხელშეკრულების (კონტრაქტის) იმ პირობებს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონმდებლობის შესაბამისად არეგულირებენ შრომით ურთიერთობებს;

ბ) ქმნიან სითანადო პირობებს მომუშავეთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადებისათვის;

გ) რეგულარულად გადარიცხავენ შესაბამის სახსრებს დასაქმების ერთან სახელმწიფო ფონდში დადგენილი წესითა და ოდენობით, რაც განისაზურება რესპუბლიკის მთავრობის მიერ რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცებასთან ერთად;

დ) დადგენილ ვადებში წარუდგენენ შრომის სახელმწიფო ბირჟის ინფორმაციას თავისუფალი სამუშაო აღვილებისა (ვაკანტური თანამდებობის) და მუშაკთა მოსალოდნელი გამოთავისუფლების შესახებ, მათი რაოდენობის, პროფესიების და სხვა მახსიათებლების, იგრეთვე გამოთავისუფლების ვადების ჩვენებით ამ პირცესის უარყოფითი სოციალური შედეგების შესამცირებელ ღონისძიებათა დროულად გატარებისათვის:



ე) საქართველოს რესპუბლიკის, შრომის სოციალური დაცვმულების ფედერაციის სამინისტროს მიერ განსაზღვრული და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ დადგენილი რაოდენობით მოვალენი არიან შექმნან სპეციალური სამუშაო ადგილები ინვალიდებისათვის, პენსიონერების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის, აგრეთვე სოციალურად ნიკლა ბად დაცული მოქალაქეთა სხვა ჯგუფებისათვის. ამ მოთხოვნის შესუსტულებლობის შემთხვევაში ისინი დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში დამტკიცით გადარიცხავენ სახსრებს დადგენილი წესით, რომელიც უნდა მოხმაოდეს ასეთი კატეგორიის მოქალაქეებთა სოციალურ დაცვას.

აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეების სამუშაო ადგილების ლიკვიდაცია ნდება საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოვრაფიის სამინისტროსთან და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეანაბეჭით.

დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში შეღათიანი გადასახდელები საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს შეიძლება დაუწესდეს იმ შემთხვევაში, თუ ისინი დასაქმებენ შრომის ბაზარზე დაბალკონებურნტუნარიან მოქალაქეებს, რომლებიც განსაკუთრებულ სოციალურ დაცვას საჭიროებენ ან შექმნიან მათვის და უმუშევრებისათვის ახალ სამუშაო ადგილებს. ასეთ მემთხვევებში გადასახდელის ოდენობის განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოვრაფიის სამინისტრო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

მომუშავეთა მასობრივი გამოთავისუფლების შემთხვევაში საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში შეაქვს დამატებითი შენატანები დადგენილი წესის მიხედვით.

მუხლი 15. დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი

დასაქმების ხელშეწყობის მიზნით იქმნება დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი, როგორც დამოუკიდებელი საფინანსო სისტემა. იგი გამოიყენება დასაქმების პოლიტიკის განსაზღვრულებელ ღონისძიებათა დასაფინანსებლიდ და დასაქმების სახელმწიფო სამსახურის საქმიანობისათვის;

— დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი იქმნება:

ა) წარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სავალდებულ ანარიცხებით (საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმის მიუხედავად);

ბ) საქართველოს და საზღვარგარეთის საწარმოების, საზოგადოებრივი რეგიონისაციებისა და მოქალაქეების ნებაყოფლობითი შენატანებითა და სხვა ემოსავლებით.

სახსრების უქმარისობის შემთხვევაში დასაქმების ერთიანი სახელმწიფო კანდიდატისათვის რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოიყოფა დამატებითი სახსრების დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრების გამოყენების მიმართ დაგენერირდა, წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულებით.



უმუშევართათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და დამატებიშვილის სახსრების მოზიდვის მიზნით დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი ახორციელებს კომერციულ საქმიანობას, რომელიც თავისუფლდება მიღებულ შემოსავლებზე გადასახადებიდან, ასევე სახელმწიფო და საბაჟო გადასახადებისაგან.

მუხლი 16. უმუშევრის პროფესიული მომზადება და გადამზადება

უმუშევრის პროფესიული მომზადება და გადამზადება ხორციელდება მმ შემთხვევებში, თუ:

- შრომის სახელმწიფო ბირჟამ ვერ შეურჩია შესაფერისი სამუშაო იმის გამო, რომ მოქალაქეს არა აქვს აუცილებელი პროფესიული კვალიფიკაცია;
- შრომის სახელმწიფო ბირჟა ვერ სთავაზობს უმუშევარს მისი პროფესიული გამოცდილების შესაფერის სამუშაოს და საჭირო ხდება სპეციალობის შეცვლა;

გ) უმუშევარმა დაკარგა უნარი შეასრულოს სამუშაო თავისი აღრინდელი პროფესიის მიხედვით.

უმუშევრის პროფესიული მომზადება და გადამზადება ხორციელდება დასაქმების სახელმწიფო სამსახურის სისტემაში არსებული პროფესიული მომზადების და გადამზადების სისტემის სასწავლო-საწარმოო ცენტრების ბაზაზე, აგრეთვე ხელშეკრულებით სხვა სასწავლო დაწესებულებებში დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ამ მიზნით გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე.

მუხლი 17. დროებითი სამუშაოების ორგანიზაცია

მმართველობის ადგილობრივი ორგანოები შრომის სახელმწიფო ბირჟის წინადადებითა და მონაწილეობით ადგილობრივი მუნიციპალური საკუთრების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე ხელშეკრულების საფუძველზე სხვა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ახორციელებენ დროებითი სამუშაოების ორგანიზაციას.

დროებით სამუშაოთა დაფინანსება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე დასაქმების ერთიანი სახელმწიფო სახსრების გამოყენებით.

დროებითი სამუშაოების ორგანიზაციის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მიერ შემუშავებული შესაბამისი დებულებით.

პ ა რ ი IV

უმუშევრის სოციალური დაცვის გარანტიები

მუხლი 18. მატერიალური მხარდაჭერის გარანტიები

უმუშევარს სახელმწიფო აძლევს შემდეგ გარანტიებს:

- შემწეობას უმუშევრობისათვის;
- სტიპენდიას პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პერიოდში და ამ ხნის განმავლობაში უნარჩუნებს საერთო და უწყვეტ შრომით სტას;



გ) მატერიალურ დახმარებას მისთვის და მისი ოჯახის წევრებისგან კმაყოფაზე მყოფი მოხუცებისა და არასრულწლოვანი ბავშვების გათვალისწინებით.

მუხლი 19. გამოთავისუფლებულ მუშაյთა შემწეობის გარანტიები

მუშაქს, რომელიც გამოთავისუფლებულია სამუშაოდან, შემწეობა ეძღვა ერთი წლის, განმავლობაში შემდეგი წესით:

გამოთავისუფლების დღიდან პირველი სამი თვის განმავლობაში უკანასკნელ ძირითად სამუშაო ადგილზე მიღებული საშუალო, ხელფასის ოდენობით რომელიც გაიცემა დადგენილი წესით იმ ორგანიზაციის მიერ, საიდანაც მოხდა, მუშაქის გამოთავისუფლება.

შემდგომ გაიცემა შრომის სახელმწიფო ბირჟიდან დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდის სახსრებით:

მეოთხე-მეექვსე თვის განმავლობაში — მისი საშუალო ხელფასის 70 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის სამაგი ოდენობისა;

მეშვიდე-მეცხრე თვის განმავლობაში — მისი საშუალო ხელფასის 5 პროცენტი, მაგრამ არა უმეტეს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგი ოდენობისა;

მეათე-მეთორმეტე თვის განმავლობაში — რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ოდენობით.

შემწეობის ოდენობა განისაზღვრება ბირჟაზე რეგისტრაციის თარიღის შესაბამისად.

უმუშევარს, რომელსაც კმაყოფაზე ჰყავს შვილები და ოჯახის სხვა წევრები, თუ ისინი ასებებული კანონმდებლობით არ იღებენ დახმარებას, შემწეობის ოდენობა უდიდებება მისთვის დადგენილი შემწეობის 25 პროცენტია კმაყოფაზე მყოფ თითოეულ წევრზე, მაგრამ არა უმეტეს უკანასკნელ საშუალო ადგილზე ნამუშევარი საშუალო ხელფასის ოდენობისა.

მოქალაქეს, რომელიც გათავისუფლებულია სასჯელის მოხდის ადგილი დან, ან რომელმაც სასამართლოს გადაწყვეტილებით გაიარა იძულებითი მუშაონალობა და რეგისტრირებულია როგორც სამუშაოს მაძიებელი, მიცემა უმუშევრობის შემწეობა დადგენილი მინიმალური ხელფასის არანაკლებ 7 პროცენტის ოდენობით.

მოქალაქეს, რომელმაც დაამთავრა საშუალო, საშუალო სპეციალური ან უმაღლესი სასწავლებელი, ან გაიარა სავალდებულო სამსახური შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიაში და დამთავრებიდან 6 თვის განმავლობაში რეგისტრირებულია შრომის სახელმწიფო ბირჟაზე როგორც უმუშევარი, ეჭლევა შემწეობა რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ოდენობით დღიდან რეგისტრაციისა ერთი წლის განმავლობაში.

უმუშევარს, რომელიც განაცხადებს თანხმობას იმუშაოს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მიერ განსაზღვრული სამუშაო ძალით ნაკლებად უზრუნველყოფილ საწარ-



შოში, ორგანიზაციაში და დაწესებულებაში, ეძლევა დამატებითი ერთჯერადი შემწეობა რესპუბლიკაში დადგენილი ოდენობით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვის და დემოგრაფიის სამინისტრო.

მუხლი 20. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პერიოდში გასცემი სტიპენდიის ოდენობა

უმუშევარს, რომელსაც კმაყოფაზე ჰყავს ბავშვები და ოჯახის სხვა წევრები, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პერიოდში ეძლევა სტიპენდია წინა სამუშაო ადგილზე საშუალო თვიური ხელფასის 80 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობისა, ხოლო ვისაც არავინ ჰყავს კმაყოფაზე. — მისი საშუალო თვიური ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასისა და არა უმეტეს სამმაგი მინიმალური ხელფასისა.

მოქალაქეს, რომელიც პირველად ეძებს სამუშაოს, ასევე მოქალაქეს, რომელსაც არ უმუშავია ხანგრძლივი ღროის (1 წელზე მეტი) განამავლობაში, სტიპენდია პროფესიული მომზადება და გადამზადება, სწავლების პერიოდში ეძლევა სტიპენდია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ხელფასის ოდენობით.

მუხლი 21. უმუშევრობისათვის შემწეობის გაცემის ვადები და პირობები

უმუშევარს შემწეობა ეძლევა შრომის სახელმწიფო ბირჟაზე რეგისტრაციის დღიდან ყოველთვიურად. შემწეობის მიღების პერიოდში უმუშევარი ვალდებულია დაიცვას შემწეობის გაცემის წესითა და პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

უმუშევრობისათვის შემწეობის მიღების პერიოდში უმუშევარს უნარ-სუნდება საერთო და შრომის უწყვეტი სტაჟი.

უმუშევრობისათვის გამაცემი შემწეობის ოდენობა ექვემდებარება ინდექსაციას დადგენილი წესის მიხედვით.

მუხლი 22. უმუშევრისათვის შეღავათიანი პენსიის გაცემა

უმუშევარს, რომელსაც საერთო შრომითი სტაჟი პენსიის მიღების უფლებას იძლევს (მათ შორის შეღავათიან პირობებში), შეუძლია პენსია დაგენილ საპენსიო ასაკამდე ორი წლით ადრე მიიღოს.

მუხლი 23. უმუშევრობისათვის შემწეობის გაცემის შეჩერება, შეწყვეტა

უმუშევრისათვის შემწეობის გაცემის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) უმუშევარმა არასაპატიო მიზეზით განაცხადა უარი მისთვის შეთავაზებულ ორ შესაფერის სამუშაოზე;

ბ) უმუშევარმა უარი განაცხადა ორ შეთავაზებულ შესაფერის სამუშაოზე პროფესიული მომზადებისა და გადამზადების შემდეგ, სადაც გაგზავნილი იყო ბირჟის მიერ;



გ) უმუშევარმა შემწეობის მიღების პერიოდში იშოვა დროუბითი სამუშაო და ამის შესახებ ბირჟის არ შეატყობინა;

დ) უმუშევარმა დაარღვია ამ კანონის 21-ე მუხლის პირველი ნაწილი მოთხოვნა;

ე) უმუშევარი შეეცადა მოტყუების გზით მიეღო ან მიიღო შემწეობა;

ვ) უმუშევარი დათხოვნილია სამუშაოდან შრომის დისკიპლინის და დავვის გამო ან საკუთარი სურვილით, საპატიო მიზეზის გარეშე.

უმუშევრობისათვის შემწეობის გაცემის შეჩერების ან შეწყვეტის წეს განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებულ დებულებით.

მუხლი 24. მატერიალური დახმარება

იმ შემთხვევაში, თუ უმუშევარმა დაკარგა შემწეობის მიღების უფლება და კვლავ რჩება შრომის სახელმწიფო ბირჟის ოღრაცხვაზე როგორც სამუშაოს მაძიებელი, მას და მისი ოჯახის წევრებს შესაძლებელია მიეცეს მატერიალური და სხვა დახმარება, რომლის ოდენობას, გაცემის წესს და პირობებს განსაზღვრავს რესპუბლიკის მთავრობა.

პ ა რ ი ვ

კონტროლი დასაქმების შესახებ კანონმდებლობის განხორციელებაზე და პასუხისმგებლობა მისი დარღვევისათვის

მუხლი 25. მაკონტროლებელი ორგანოები

კონტროლს მოსახლეობის დასაქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესრულებაზე ახორციელებენ შრომის, სოციალური დაცვის და დემოგრაფიის სამინისტრო, ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, კანონით უფლებამოსილი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები.

მუხლი 26. პასუხისმგებლობა დასაქმების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

დასაქმების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის დისკიპლინურ, მატერიალურ, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზეიად გამსახურდის.

საქართველოს რესპუბლიკის კონსილიუმის კანონი

486 შეტანის ზესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

I. საქართველოს რესპუბლიკის კონსილიუმიში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 38-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს აქვს შრომის უფლება, ანუ ცის თავისი შრომის უნარის სრული განმეობელი და განახორციელოს ნების-მიერი საქმიანობა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით არ არის აკრძალული; სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეთა მიერ ამ უფლების თავისუფალი განხორციელების პირობების შექმნას.“

მოქალაქის დაუსაქმებლობა არ შეიძლება ჩაითვალოს აღმინისტრაციულ, სისხლის სამართლისა და სხვა სახის პასუხისმგებაში მიცემის საფუძვლად.

სახელმწიფო დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მეშვეობით ზრუნავს უშუმშევართა დასაქმებასა და სოციალურ დაცვაზე; კანონმდებლობით დაზენილი საარსებო მინიმუმიდან გამომდინარე სახელმწიფო განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონეს, რომელიც სავალდებულოა რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სახის საწარმოსა და ორგანიზაციისათვის საკუთრებისა და მეურნეობრივი ფორმის მიუჩედავად; შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე ინფლაციისა და ფასების მატების შესაბამისად პერიოდულად ექვემდებარება ინდექსაციის“.

2. 58-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

II. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვანდ გამოქვეყნებისთანავე.

თბილისი, 1991 წლის 25 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**487 „დასაქმების ზესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის
 სამოქმედო ზემოღვაზეთა თაობაზე**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. „დასაქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი შემოღვულ იქნეს სამოქმედოდ გამოქვეყნებისთანავე, ხოლო კანონის მე-4 კაზი „უშუმშევრის სოციალური დაცვის გარანტიები“ (მუხლი 18-24) — 1991 წლის 1 სექტემბრიდან.



2. კანონის ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკური მედ საკანონმდებლო აქტებს ძალა აქვთ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან „და საქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონს.

3. დადგინდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და კოოპერატივებს, მათი საკუთრებისა და მეურნეობრივი ფორმის მიუხედავად, ყოველთვიური სავალდებულო ანარიცხები შეაქვთ დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით. ეს ანარიცხები, როგორც წესი, შეიტანება პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) თვითონირებულებაში, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის კი — ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

1991 წლის 1 ივნისიდან დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში ანარიცხების ხორმატივი პროცესი ანაზღაურების სახსრების 3 პროცენტს შეადგეს.

დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში საჭირო თანხების აკუმულაციაშე საჭესდებო საქმიანობის დასაწყებად შესაბამისი საბანკო ახგარისძიებაში გახსენითავაევ რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ჩაითიცხოს 20 მილიონი ძანეთი, საბიუჯეტო თანხებზე შემდგომი მოთხოვნილება დაზუსტდეს ფონდის რეალური მოთხოვნილების ძეგანაშისად.

ზემოაღნისძულის გათვალისწინებით საბიუჯეტო ორგანიზაციები და დაწესებულებები 1991 წელს თავისუფლდებიან სავალდებულო ანარიცხებისაგან.

4. დადგინდეს, რომ ყველა საქართო, ორგანიზაცია, დაწესებულება უძურევრობისათვის დამარტინის დაგეხმის მიხედვით, სამუალო ხელფასის რაოდენობას გახსაძლვავს ყველა საბაზის პრემიისა და ერთდროული დაზმარებების გაპოვლებით.

ა. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ:

— უზრუხველყოს 1991 წლის ბოლომდე „დასაქმების შესახებ“ საქართველოს ოესპუბლიკის კახონთახ სათანადო კახონიკედებარე აქტების შესაბამისობაში შოგვახა;

— წლის ბოლომდე უზრუნველყოს იმ ნორმატიული აქტების გადასინჯვა და შეცვლა, რომლებიც ეწიააღმდეგება აღნიშნულ კახონს;

— ერთი თვის ვადაი მიიღოს პირველი რიგის ნორმატიული აქტები რეაქუბლიკის დასაქმების სახელმწიფო სამსახურის შესახებ, რომლებიც უძრავიცადნენ:

ა) დებულებას დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის შესახებ;

ბ) დებულებას შრომის სახელმწიფო ბირჟის შესახებ;

გ) დებულებას დასაქმების სახელმწიფო ინსპექციის შესახებ;

დ) დებულებას დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში სავალდებულო მიზნობრივი ანარიცხების მიღლების შესახებ;

ე) დებულებას უმუშევრისათვის შემწეობის გაცემის წესისა და პირობების შესახებ;

ვ) დებულებას დროებითი სამუშაოების ორგანიზაციის შესახებ;

* გ) დებულებას შექალაქეთა სამუშაოზე მოწყობის, მომზადებისა და გა-
რამზადების ფასიან მომსახურებაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ.

— გამართოს მოლაპარაკებები შრომის სერთაშორისო თრგანიზაციისა
და უცხოეთის ქვეყნებთან, საქართველოს რესპუბლიკის შრომის საერთაშო-
რისო ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნით;

— აღმოუჩინოს ქმედითი დამატება დასაქმების სახელმწიფო სამსა-
ხურს სათანადო გძიოთვლითი და ავტომატიზებული სისტემის აღჭურვის საქ-
მეში, რისთვისაც შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტ-
როს მიზნობრივად გამოუყოს ფულადი სახსრები 5 მილიონი მანეთის ოდე-
ნობით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აპაპი ასათიანი.

თბილისი, 1991, წლის 25 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის პანი

488 საგადასახადო ცისტების ზოგადი საფუძვლების შესახებ

„საგადასახადო ცისტების ზოგადი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს
რესპუბლიკის კანონით წესდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და
ბიუჯეტგარეუშე ფონდების შემოსავლები გადასახადების და სახელმწიფო ბირ-
ების სახით. იგი ეყრდნობა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, იუ-
რიდიული და ფიზიკური პირების საქმიანობის, მათი ქონებრივი და სხვა
ურთიერთობების რეგულირების შესახებ მოქმედ კანონმდებლობის და სხვა
საკონსტიტუციური აქტებს.

საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო ცისტების უზრუნველყოფს
ფულადი რესურსების თავმჯდომარეს სახელმწიფო ბიუჯეტში, ეკონომიკური და
სოციალური პოლიტიკის ერთიანობასა და სამეურნეო საქმიანობის რეგუ-
ლირებას. იგი განაკვეთებისა და შეღავათების დიფერენციაციის საშუალე-
ბით ქმნის სტრუქტურულ დარგის, რეგიონის, საწარმოს, ცალკეული სახეობის
პროდუქციის წარმოების და მომსახურების განვითარებისათვის, არეგულირებს
საწარმოთა რენტაბელობისა და მოქალაქეთა შემოსავლების დონეს, უზრუნ-
ველყოფს საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების ეკო-
ნომიკურ, ეფექტურ გამოყენებას და გარემოს დაცვას.

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. „საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ გადასახადებსა და სახელმწიფო ბაჟს, გადასახადით დაბეგვრის სუბიექტებსა და ობიექტებს, დაბეგვრაში შეღავთების მინიჭების საერთო წესის, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საფუძლებსა და გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით წარმოშობილი დაის გადაწყვეტის საერთო წესს.

მოცემული კანონით დაწესებული გადასახადები და სახელმწიფო ბაჟი შეიტანება საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში, აფგანისტანის ბიუჯეტებში ან ბიუჯეტის არეშე ფონდებში.

გადასახადების სისტემა ერთიანი და სავალდებულოა ყველა იურიდიულ პირისათვის საკუთრების ფორმების, დაქვემდებარების, საქმიანობის სფეროსა და ორგანიზაციული ფორმების მიუხედავად, აგრეთვე ფიზიკური პირებისათვის.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მის ტერიტორიულ წყლებში მდებარე ყველა იურიდიული პირი, აგრეთვე ყველა ფიზიკური და პირი, რომელიც საქმიანობას წევა საქართველოს ტერიტორიაზე და მის ტერიტორიულ წყლებში, ვალდებული არიან გადაიხდონ საქართველოს რესპუბლიკაში დაწესებული გადასახადები და სახელმწიფო ბაჟი.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკაში გადასახადები და სახელმწიფო ბაჟი წესდება:

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონებით;
2. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებებით;
3. ავტონომიური რესპუბლიკების კანონებით;
4. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტებით.

მუხლი 4. გადასახადების ან სახელმწიფო ბაჟის დაწესებელი ორგანიზაციაზე:

1. გადასახდების განაკვეთებს ან მისი დაწესების წესს;
2. გადასახდების გადახდის წესს;
3. შეღავთებს გადასახადებში და გადასახადებისაგან გათავისუფლების პირობებს;

4. გადასახადის მოქმედების ვადას.

მუხლი 5. მოცემულ კანონში ჩამოთვლილი გადასახადების გარდა ადგალობრივი მმართველობის ორგანოს უფლება აქვს მისდამი აღმინისტრაციულად დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე დაწესოს დამატებითი გადასახადები. ამა-



თან, ერთი და იგივე დასაბეგრი ობიექტი გადასახადით იმეგრება მხელული კურსელ, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 6. გადასახადები გადაითვევინება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შიძოქცევაში არსებული ფულით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 7. გადასახადების დაწესებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის გადაჭრის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

თავი II

გადასახადების სახეობები, ობიექტები და გადასახადების მიმღებნი მოგებიდან გადასახადი

მუხლი 8. მოგებიდან გადასახადის დაწესებული განაკვეთების მიხედვით გადაიხდიან იურიდიული პირები საკუთრების ფორმების, დაქვემდებარების, საქმიანობის სფეროსა და ორგანიზაციული ფორმების მიუხედავად, რომლებიც მოგებას იღებენ სამეურნეო და სხვა კომერციული საქმიანობიდან.

მუხლი 9. მოგებიდან გადასახადი ჩაირიცხება:

1. საქართველოს რესპუბლიკის აქსპუბლიკურ ბიუჯეტში;
2. ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში;
3. ადგილობრივ ბიუჯეტებში.

მუხლი 10. მოგებიდან გადასახადის შესახებ კანონით წესდება:

1. მოგებიდან გადასახადის განაკვეთის ზღვრული ოდენობა და საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩასარიცხი გადასახადის განაკვეთი;

2. ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოებისა და აღგილობრივი მართველობის ორგანოების მიერ დაწესებული გადასახადის განაკვეთის ზღვრული ოდენობა;

3. შეღავათები გადასახადში და გადასახადისაგან გათვისუფლების პირებები;

4. გადასახადის გადახდის წესი.

ბრუნვის გადასახადი

მუხლი 11. ბრუნვის გადასახადს დაწესებული განაკვეთების მიხედვით გადაიხდიან იურიდიული პირები საკუთრების ფორმების, დაქვემდებარების, საქმიანობის სფეროსა და ორგანიზაციული ფორმების მიუხედავად (მათ შორის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის შექმნილი ერთობლივი საწარმოები და მათი ფილიალები), რომლებიც აწარმოებენ და ყიდიან იმ საკონელს, რომელიც ბრუნვის გადასახადით იძეგრება.

მუხლი 12. ბრუნვის გადასახადი ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში მისი იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ნორმატი-



ეების შიხედვით გადაირიცხება ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

მუხლი 13. ბრუნვის გადასახადის შესახებ კანონით წესდება:

1. გადასახადის განაკვეთების დაწესების წესი;
2. შეღავათები გადასახადში და გადასახადისაგან გათავისუფლების პირობები;
3. გადასახადის გადახდის წესი.

რეზე

საქციზო გადასახადი

მუხლი 14. საქციზო გადასახადს, როგორც მოხმარების მარეგულირებელ არაპირდაპირ გადასახადს, დაწესებული განაკვეთების მიხედვით გადაიხდინ იურიდიული პირები საკუთრების და ორგანიზაციული ფორმების მიუხედავად, მათ შეირ გყიდული იმ საქონლის ბრუნვიდან, რომელიც საქციზო გადასახადით იჩეგრება.

მუხლი 15. საქციზო გადასახადი ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში მისი იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით გადაირიცხება ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებსა და აუგილობრივ ბიუჯეტებში.

მუხლი 16. საქციზო გადასახადის შესახებ კანონით წესდება:

1. საქონლის ჩამონათვალი, რომელიც იჩეგრება საქციზო გადასახადით;
2. გადასახადის განაკვეთები;
3. საქციზო გადასახადში შეღავათების მინიჭების წესი;
4. საქციზო გადასახადის გადახდის წესი.

დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი

მუხლი 17. დამატებულ ღირებულებაზე გადასახადს დაწესებული განკვეთის მიხედვით გადაიხდინ იურიდიული პირები საკუთრების ფორმები, დაქვემდებარების, საქმიანობის სფეროსა და ორგანიზაციული ფორმების მიუხედავად (მათ შორის უტბოელი იურიდიული პირებისა და მოქალაქეების მონიშვილეობით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი ეროვნული ლიგი საქართვები და მათი ფილიალები) საქონლის გყიდვის ყოველი აქტი შემსუვვებელი მისი მოძრაობის ყოველ სტანდარტზე დამატებული ღირებულებიდან.

მუხლი 18. დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში მისი იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით გადაირიცხება ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

მუხლი 19. დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის შესახებ კანონის წესდება:

1. გადასახადის განაკვეთები;

2. შეღავათები გადასახადში და გადასახადისაგან გათავისუფლების პი-
რობები;

3. გადასახადის გადახდის წესი.

ბუნებრივ ორგანიზაციების გადასახადი

მუხლი 20. ბუნებრივ ორგანიზაციების გადასახადს დაწესებული განაკვეთე-
ბის მიხედვით გადაიხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები ბუნებრივი ო-
რგანიზაციების საერთო სარგებლობიდან მათი საქმიანობის შეჯეგად რესურსების
გამოყენებულ მოცულობაზე.

მუხლი 21. ბუნებრივ ორგანიზაციების გადასახადი ჩაირიცხება:

1. საქართველოს ორგანიზაციის რესპუბლიკურ ბიუჯეტში;
2. ავტონომიური ორგანიზაციების ბიუჯეტებში;
3. დაგილობრივ ბიუჯეტებში.

მუხლი 22. ბუნებრივ ორგანიზაციების გადასახადის შესახებ კანონით წესდება:

1. გადასახადით დასაბეგრი ბუნებრივი ორგანიზაციების ჩამონათვალი;
2. ბუნებრივ ორგანიზაციების გადასახადი; განაკვეთები და მათი დიფერენციის
საფუძვლები;
3. ბუნებრივ ორგანიზაციების გადასახადის გადახდის წესი.

მიწის გადასახადი

მუხლი 23. მიწის გადასახადს დაწესებული განაკვეთების მიხედვით გა-
დაიხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებსაც სარგებლობაში გა-
მოიყოთ მიწის ფართობი.

მუხლი 24. მიწის გადასახადი ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში.

მუხლი 25. მიწის გადასახადის შესახებ კანონით წესდება:

1. გადასახადის განაკვეთები;
2. შეღავათები გადასახადში და გადასახადისაგან გათავისუფლების პი-
რობები;
3. გადასახადის გადახდის წესი;
4. გადასახადის განაკვეთების დიფერენციაციის საფუძვლები მიწის ადგილ-
მდებარეობიდან გამომდინარე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მიწების მიხედ-
ვით — მათი ბონიტირებიდან (ხარისხობრივი შეფასებიდან) გამომდინარე.

შენობა-ნაგებობების მფლობელთა გადასახადი

მუხლი 26. შენობა-ნაგებობების მფლობელთა გადასახადს დაწესებული
განაკვეთების მიხედვით გადაიხდიან საქართველოს ორგანიზაციის ტერიტო-
რიაზე არსებული საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები საქარ-
თველოს ორგანიზაციების გარდა, უცხოელი იურიდიული და ფიზიკური
პირებისა და ორგანიზაციების გარდა, უცხოელი იურიდიული და ფიზიკური
პირები მათ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისათვის, აგრეთვე სა-
ქართველოს ორგანიზაციის მოქალაქენი, რომლებიც თავიანთ კუთვნილ შე-



ნობა-ნაგებობებს აქირავებენ ან ამ შენობა-ნაგებობებში ეწევიან ჩერტვას, ან აწყობენ საწარმოებს.

მუხლი 27. შენობა-ნაგებობების მფლობელთა გადასახადი ჩაირიცხება ოდგილობრივ ბიუჯეტში.

მუხლი 28. შენობა-ნაგებობების მფლობელთა გადასახადის შესახებ კანონით წესდება:

1. გადასახადის განაკვეთები;
2. შეღავათები გადასახადში და გადასახადისაგან გათავისუფლების პორობები;
3. გადასახადის გადახდის წესი.

სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი

მუხლი 29. სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადს გადაიხდიან სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელი იურიდიული და ფიზიკური პირები ძრავის სიმძლავრის ერთეულზე ან ტონჯზე დაწესებული განაკვეთების მიხედვით.

მუხლი 30. სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი ჩაირიცხება ოდგილობრივ ბიუჯეტებში.

მუხლი 31. სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი შესახებ კანონით წესდება:

1. გადასახადის განაკვეთები;
2. შეღავათები გადასახადში და გადასახადისაგან გათავისუფლების პორობები;
3. გადასახადის გადახდის წესი.

საბაჟო გადასახადი

მუხლი 32. საბაჟო გადასახადს დაწესებული განაკვეთების მიხედვით გადაიხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები მათი კუთვნილი იმ საქონლის მოცულობის ან ლირებულების მიხედვით, რომელიც ქვემდებრება საბაჟო კონტროლის.

მუხლი 33. საბაჟო გადასახადი ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

მუხლი 34. საბაჟო კონტროლის შესახებ კანონით საბაჟო გადასახადთან დაკავშირებით წესდება:

1. გადასახადის განაკვეთები;
2. გადასახადის გადახდის წესი.

სატრანზიტო გადასახადი

მუხლი 35. სატრანზიტო გადასახადს დაწესებული განაკვეთების მიხედვით გადაიხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები ავტოსატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის გავლისას.



შუბლი 36. სატრანზიტო გადასახადი ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკური ლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

შუბლი 37. სატრანზიტო გადასახადის შესახებ კანონით წესდება:

1. გადასახადის განაკვეთები;
2. გადასახადის გადახდის წესი.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი

შუბლი 38. ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადს გადაიხდიან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ფიზიკური პირები განურჩევლად მოქალაქეობრივი კუთვნილებისა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ ყველა წყაროდან მიღებული ფულადი შემოსავლების მიხედვით.

ფიზიკური პირები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ, საშემოსავლო გადასახადს გადაიხდიან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიღებული შემოსავლების მიხედვით.

შუბლი 39. ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში მისი იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით გადაირიცხება ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

შუბლი 40. ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ კანონით წესდება:

1. საშემოსავლო გადასახადის პროგრესიული განაკვეთები;
2. გადასახადით დაუბეგრავი მინიმუმი;
3. შეღავათები გადასახადში და გადასახადისაგან გათავისუფლების პირობები;
4. გადასახადის გადახდის წესი.

საკურორტო გადასახადი

შუბლი 41. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შეუძლიათ დააწესონ საკურორტო გადასახადი, რომელსაც გადაიხდიან რესპუბლიკის 'კურორტებზე 5 დღეზე მეტი ვადით დროებით საცხოვრებლად, დასასვენებლად ან სამკურნალოდ ჩამოსული 'ფიზიკური პირები.

შუბლი 42. საკურორტო გადასახადი ჩაირიცხება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ბიუჯეტგარეშე ფონდში და ხმარდება საკურორტო მეურნეობების შემდგომ განვითარებას.

შუბლი 43. ადგილობრივი მმართველობის ორგანო საკურორტო გადასახადის მიხედვით აწესდება:

1. გადასახადის განაკვეთს;
2. გადასახადის გადახდის წესს.

ეკოლოგიური გადასახადი



მუხლი 44. ეკოლოგიური გადასახადს დაწესებული განაკვეთების შენიშვნით გადაიხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისათვის.

მუხლი 45. ეკოლოგიური გადასახადი ჩაირიცხება:

1. გარემოს დაცვის ბიუჯეტგარეშე სახელმწიფო ფონდში;
2. აღგილობრივი მმართველობის ორგანოს გარემოს დაცვის ბიუჯეტგარეშე ფონდში.

მუხლი 46. ეკოლოგიური გადასახადის შესახებ კანონით წესდება:

1. ეკოლოგიური გადასახადის განაკვეთების დაწესების წესი;
2. გადასახადის გადახდის წესი.

შემოსავლებზე გადასახადი

მუხლი 47. შემოსავლებზე გადასახადს დაწესებული განაკვეთების მიხედვით გადაიხდიან იურიდიული პირები საკუთრების ფორმების, დაქვემდებარების, საქმიანობის სფეროსა და ორგანიზაციული ფორმების მიუხედავად მათ კუთვნილ ქციურებზე, ობლიგაციურებზე და სხვა ფასიან ქაღალდებზე, აგრძელებულ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ ერთობლივ საწარმოებსა და მოებში და ფიზიკური პირის უფლების მქონე ინდივიდუალურ საწარმოებსა და სამეურნეო ამხანაგობებში წილობრივი მონაწილეობით მიღებულ შემოსავლებზე, ასევე უცხოელი იურიდიული პირები იმ შემოსავლებზე, რომელიც დაკავშირებული არ არის საქართველოში საქმიანობის განხორციელებისთან, მაგრამ შემოსავლის წყარო იმყოფება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

შემოსავლებზე გადასახადი გადაიხდევინება აგრძელებულ კაზინოებიდან, ვიდეოსალონებიდან (ვიდეოჩვენებებიდან), სათამაშო ავტომატების ექსპლოატაციიდან, მასობრივი საკონცერტო-სანახაობითი ლონისძიებების ჩატარებიდან მიღებულ შემოსავლებზე.

მუხლი 48. შემოსავლებზე გადასახადი ჩაირიცხება:

1. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში;
2. ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში;
3. აღგილობრივ ბიუჯეტებში;

მუხლი 49. შემოსავლებიდან გადასახადის შესახებ კანონით წესდება:

1. შემოსავლებზე გადასახადის განაკვეთები და ბიუჯეტებს შორის განაწილების წესი;
2. შეღავათები გადასახადში და გადასახადისაგან გათავისუფლების პორბები;
3. გადასახადის გადახდის წესი.

სახელმწიფო ბაუზ



მუხლი 50. სახელმწიფო ბაჟის დაწესებული განაკვეთების მიხედვით გადაიხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებათა შესრულებისა და საბუთების გაცემისათვის.

მუხლი 51. სახელმწიფო ბაჟი ჩაირიცხება აღგიღლობრივ ბიუჯეტში.

მუხლი 52. სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონით წესდება:

1. იურიდიული მნიშვნელობის იმ მოქმედებათა ჩამონათვალი, რომელმეტედაც გადაიხდევინება სახელმწიფო ბაჟი;

2. შეღავათები და სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების პირობები;

3. სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი.

სახელმწიფო ბაჟის განაკვეთებს აწესებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

თ ა ვ ი III

სპეციალური დებულებანი

ორგანიზაციური დაუშვებლობა

მუხლი 53. დასაბეგრი ობიექტი, რომელიც მოცემული კანონის მიხედვით იძეგრება, არ შეიძლება სხვა გადასახადით დაიძეგროს. საზღვარგარეთ მიღებული მოგების ან შემოსავლის თანხა შეიტანება მოგების ან შემოსავლის საქართო თანხაში, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით და გაითვალისწინება გადასახადის თანხის განსაზღვრის დროს.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის, კონტინენტური შელტისა და საქართველოს რესპუბლიკის უკანონიერური ზონის გარეთ მიღებული მოგებიდან ან შემოსავლებიდან გადასახადების თანხები, რომლებსაც იურიდიული და ფიზიკური პირები საზღვარგარეთ უცხოეთის ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად გადაიხდიან, ჩაითვლება მათ მიერ საქართველოს რესპუბლიკის მოგებიდან ან შემოსავლებიდან გადასახადების გადახდის დროს. ამასთან ჩასათვლელი თანხების ოდენობა არ უნდა აღმატებოდეს მოგებიდან (შემოსავლიდან) გადასახადის თანხას, რაც ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკაში გადახდას საზღვარგარეთ მიღებული მოგების (შემოსავლის) მიხედვით.

მუხლი 54. საქართველოს რესპუბლიკის საზოგადო სისტემა ითვალისწინებს რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესებს, ამასთან უზრუნველყოფს საერთოშორისო სამართლებრივი ნორმებისა და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცალკეული სახეობის გადასახადები გამოიყენება.



რესპუბლიკის ეკონომიკის დაცვის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში დადგენილი წესით შეიძლება შემოღებულ იქნეს სხვა სახეობის გადასახადები, გნევითარების გარკვეულ ეტაპზე კი უნდა მოხდეს ბრუნვის გადასახადის ტრანსფორმაცია საქართველოს გადასახადში და დამატებული ლირებულების გადასახადში.

თ ა ვ ი IV

კონტროლი საგადასახადო კანონმდებლობის დაცვაზე

მუხლი 55. კონტროლს საგადასახადო კანონმდებლობის დაცვაზე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ:

1. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები;
2. სახელმწიფო საგადასახადო ორგანოები;
3. ადგილობრივი საფინანსო ორგანოები;
4. სხვა მაკონტროლებელი ორგანოები.

მუხლი 56. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები და ადგილობრივი საფინანსო და საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საერთო კონტროლს გადასახადების შემოსვლაზე.

სახელმწიფო საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ კონტროლს ყველა გადახდელის მიერ გადასახადების სწორად და თავისდროულად გადახდაზე. საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასა და მის დაცვაზე კონტროლს სახელმწიფო საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ „სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

მუხლი 57. გადასახადების გადახდის წესის დარღვევის აღმოფხვრის მიზნით სახელმწიფო საგადასახადო ორგანო გამოსცემს განკარგულებას, რომლი შესრულებაკ სავალდებულო ყველა საჭარბოსათვის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის. სახელმწიფო საგადასახადო ორგანოს განკარგულების გასაჩივრება შეიძლება ზემდგომ საგადასახადო ორგანოში, შემდეგ კი სასამართლოში ან არბიტრაჟში, რაც არ აჩერებს განკარგულების შესრულებას.

თ ა ვ ი V

გადამხდელთა პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 58. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევად ითვლება:

1. იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მოვალეობისა და დაბევრების სხვა ობიექტების დამალვა ან შემცირებული ოდენობით ჩვენება, აგრეთვე გადასახადის ოდენობის განსაზღვრისათვის საგალდებულო მონაცემების წარუდგენლობა ან დაგვიანებით წარდგენა;

2. გადასახადების გადახდის დადგენილი ვადების დაუცველობა;
3. შემოწმებისათვის საჭირო ღოკუმენტების წარდგენაზე უარის თქმა და
სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის საქმიანობის სხვა გზით დაბრკოლება.

მუხლი 59. საგადასახადო კნონმდებლობის დარღვევისათვის შესდება:

1. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა;
2. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა;
3. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მუხლი 60. გადასახადის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში ყოველ ვა-
დაგადაცილებულ დღეზე გადამხდელს გადახდება საურავი ნარჩენი თანხის
0,3 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 61. იურიდიული პირების მიერ მოგების (შემოსავლების) დამალ-
ვის ან შემცირების შემთხვევაში, რის შედეგადაც გადასახადის გადახდა ხდე-
ბა შემცირებული ოდენობით, სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ
დამალული ან შემცირებული მოგების (შემოსავლების) თანხები ბიუჯეტში
ამოიღება ორმაგი ოდენობით, ხოლო ფინანსური სანქციის მიყენებიდან 12
თვის განმავლობაში ანალოგიური დარღვევის განმეორების შემთხვევაში და-
მალული ან შემცირებული თანხები ბიუჯეტში ამოიღება სამმაგი ოდენობით.

ამ თანხების გადახდევინებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ
ვრცელდება.

მუხლი 62. ფიზიკური პირების მიერ გადასახადის გადახდისაგან თავის
არიდების, დასახელების, ან შემცირების დამალვის ან შემთხვევაში
სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების განკარგულების საფუძველზე გადა-
სახადები გადაიხდევნება ორმაგი ოდენობით, ხოლო საგადასახადო ორგანოს
განკარგულების შესარტულებლობის შემთხვევაში გადასახადის გადახდევინება
წარმოებს სასამართლო წესით სამმაგი ოდენობით.

ბიუჯეტში შეუტანელი გადასახადები გადაიხდევინება არა უმეტეს ბოლო
სამი წლის გადასახადებისა.

მუხლი 63. ბიუჯეტში ზედმეტად ჩარიცხული გადასახადების თანხები
ფიზიკურ პირებს უკან უბრუნდებათ არა უმეტეს ბოლო სამი წლის ვადისა,
ხოლო იურიდიულ პირებს — არა უმეტეს ბოლო ერთი წლის ვადისა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბერიძე გამსახურდის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საგარენი

დ ა ღ გ მ ნ ი ლ ე ბ ა

489 „საგადასასადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1992 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადგენს:

„საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1992 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აპარა ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

490 უცხოური ინვესტიციების შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელ ინვესტორთა საქმიანობის ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს, უცხოური ინვესტიციების სახელმწიფოებრივი დაცვისა და რეგულირების ნორმებს.

კანონი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საინვესტიციო საქმიანობის ყველა უცხოელი მონაწილისა და იმ საწარმოების მიმართ, რომლებსაც უცხოური ინვესტიციები აქვთ.

გ ა რ ი პ

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. უცხოური ინვესტიციები

1. უცხოურ ინვესტიციებს მიეკუთვნება ქონებისა და ინტელექტუალურ ფასეულობათა ყველა სახე, რომლებიც უცხოური ფიზიკური და იურიდიული პირების, მათი გაერთიანებების, საერთაშორისო ორგანიზაციების და უცხოეთის სახელმწიფოების (შემდეგში — უცხოური ინვესტორები) მიერ გამოიყენება სამეცნიერო საქმიანობაში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

2. უცხოური ინვესტიციები შეიძლება შეიცავდეს:

ყოველგვარ უძრავ და მოძრავ ქონებას და ამ ქონებასთან დაკავშირებულ ყოველგვარ უფლებას;



აქციებს, ანაბრებს, ობლიგაციებს და სხვა სახის ფასიან ქაღალდუმშემთხვევა
წარმოებაში მონაწილეობის სხვა ფორმებს;

ფულად წარდგინებას ან ფულადი წარდგინების უფლებას;

ყოველგვარ უფლებას ინტელექტუალური საკუთრების მიმართ, საავტორო და საპატენტო უფლებების, სასაქონლო ნიშნების, სახელწოდების, სამრეწველო ნიმუშების, კომერციული სიღუმლეებისა და „ნოუ-ჰელს“ ჩათვლით.

სამეწარმეო საქმიანობის უფლებას, ბუნებრივი რესურსების მოძიების, მოპოვების, დამუშავებისა და ექსპლუატაციის უფლების ჩათვლით.

მუხლი 2. უცხოელი ინვესტორთა საქმიანობა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოელი ინვესტორთა საინვესტიციო საქმიანობა წარმოებს როგორც დამოუკიდებლად, ისე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებთან და იურიდიულ პირებთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 3. უცხოური ინვესტიციების ობიექტები

საქართველოს რესპუბლიკაში უცხოური ინვესტიციების ობიექტებს წარმოადგენ:

ახლად შექმნილი ან მოდერნიზებული ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებები;

ფასიანი ქაღალდები;

მიზნობრივი ფულადი ასიგნებები;

სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქტებია;

ინტელექტუალური ფასეულობები;

ქონებრივი უფლებები;

საკუთრების სხვა ობიექტები.

მუხლი 4. უცხოური ინვესტიციების რეგულირება

უცხოური ინვესტიციების მიზნიდან და გამოყენების პოლიტიკას შეიმუშავებს და ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილი ორგანო.

უცხოური ინვესტიციებთან დაკავშირებით წარმოქმნილ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

გ ა რ ი II

უცხოელი ინვესტორის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 5. უცხოელი ინვესტორის უფლებები

1. საინვესტიციო საქმიანობაში ყველა ინვესტორი სარგებლობს თანაბარი უფლებებით.

უცხოელი ინვესტორებს ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.



2. ინვესტორი დამოუკიდებლად განსაზღვრავს ინვესტიციებშის მოცულობას და მისი გამოყენების მიმართულებას.

3. ინვესტორის გადაწყვეტილებით ინვესტიციებისა და მათი განხორციელების შედეგების ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უფლება შეიძლება გადაეცეთ სხვა მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს კანონით გათვალისწინებული წესით. ასეთ შემთხვევაში მხარეთა ურთიერთობა რეგულირდება მათ შორის დადგებული ხელშეკრულებით.

უცხოელ ინვესტორებს უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საბანკო დაწესებულებებში გახსნან მიმღინარე და სხვა სახის ანგარიშები მანეთებში და უცხოური ვალუტით, შეიძინონ აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები.

4. ინვესტორს უფლება აქვს ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს ინვესტიციათა შედეგებს, მათ შორის რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეინვენსტიციებისა და სავაჭრო ოპერაციების სახით საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით შეიძლება განისაზღვროს ობიექტები, რომლებშიც ინვესტირება არ გულისხმობს საკუთრების უფლების შეძენას მათზე, მაგრამ არ გამორიცხავს მათი შემდგომში ფლობის, ოპერატორი მართვის ან ამ ობიექტების ექსპლოატაციით მიღებულ შემოსავლებში ინვესტორის მონაწილეობის შესაძლებლობას.

უცხოელ ინვესტორებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონების პრივატიზებაში საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ინვესტორს უფლება აქვს შეიძინოს მისთვის აუცილებელი ქონება მოცულობისა და ნომენკლატურის შეუზღურავად მოქალაქეებისა და იურიდიული პირებისაგან უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით იმ ფასებში და იმ პირობებით, რომელიც განსაზღვრულია მხარეებს შორის დადგებული ხელშეკრულებით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

6. უცხოური ინვესტიციით შექმნილ საწარმოს უფლება აქვს თავისი ქონება გამოიყენოს მის მიერ აღებული ყოველგვარი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, ნასესხები სახსრების ჩათვლით. ამავე მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მონაწილეების მიერ საწარმოს ანგარიშზე შენატანის სახით გადაცემული ქონებრივი უფლებები შენობაზე, მოწყობილობაზე, დანადგარებზე, აგრძელება სხვა ქონებრივი უფლებები, გარდა უფლებისა მიწაზე და სხვა ბუნებრივ რესურსებზე.

7. უცხოელი ინვესტორს უფლება აქვს დააგირაოს თავისი ქონება. დაგირავით ეძული ქონება გირაოს მიმღების მიერ შეიძლება რეალიზებულ იქნეს მანეთებით და უცხოური ვალუტით კანონმდებლობით განსაზღვრული წესის მიედეთ.

მუხლი 6. უცხოელი ინვესტორის მოვალეობანი

1. ინვესტორი მოვალეა:



წარუდგინოს საფინანსო ორგანოებს დეკლარაცია შემოსავლების შესახებ
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

მიიღოს საქართველო დასკვნა საინვესტიციო პროექტებზე სანიტარიულ-
ჰიგიენური და ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვის შესახებ;

დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური კანონმდებ-
ლობა;

დაიცვას საქონლისა და მომსახურების ხარისხისადმი, ტექნიკური სტან-
დარტებისადმი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ნორმა-
ტიული მოთხოვნები;

შეასრულოს სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობრივი პირების
მოთხოვნები მათი კომპეტენციის ფარგლებში;

წარადგინოს დადგენილი წესით საბუღალტრო და სტატისტიკური ანგა-
რიშება.

2. საინვესტიციო საქმიანობის თითოეულ მონაწილეს, რომელიც სპეცია-
ლური სახის სამუშაოებს ასრულებს და აქვს სათანადო ატესტაცია, უნდა
ჰქონდეს ლიცენზია ამ სამუშაოების შესასრულებლად. ასეთ სამუშაოთა სა-
ხეები და მათი ლიცენზიების წესი განისაზღვრება რესპუბლიკის კანონმდებ-
ლობით.

პ ა რ ი III

უცხოური ინვესტიციების დაცვის გარანტიები

მუხლი 7. უცხოური ინვესტიციების დაცვა

1. საქართველოს რესპუბლიკაში უცხოური ინვესტიციები სამართლებ-
რივად დაცულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით და იმ საერ-
თაშორისო ხელშეკრულებებით, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს რეს-
პუბლიკის ტერიტორიაზე.

2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოური ინვესტიციების
ნაციონალიზაცია ან შედეგების მიხედვით ტოლფასი ზომების გამოყენება კა-
ნონით აქტალულია.

სახელმწიფოსა და უცხოელ ინვესტორს შორის შეთანხმებით შესაძლებე-
ლია უცხოური ინვესტიციების გამოსყიდვა.

გადაწყვეტილება უცხოური ინვესტიციების იძულებითი გამოსყიდვის შე-
სახებ შეიძლება გასაჩინოდეს სასამართლოში.

3. უცხოელ ინვესტორს კომპენსაციას უხდის ის სახელმწიფო ორგანო,
რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მისი ქონების ნაციონალიზაციის შესახებ.
კომპენსაცია უნდა შეესაბამებოდეს ნაციონალიზებული ქონების რეალურ
ღირებულებას მსოფლიო ფასებით. კომპენსაციის გადახდის ვადები და ფულის
ერთეული განისაზღვრება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. კომპენსაციის გა-
დახდის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს.

4. სახელმწიფო ან სხვა ორგანოების, აგრეთვე მათი თანამდებობის შეტყობინების უცხოელი გადაწყვეტილებით უცხოელი ინვესტორისათვის მიყენებულ ზარალი (დაკარგული მოგების ჩათვლით) უნდა ანაზღაურდეს სრული მოცულობით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მუხლი 8. სადაც საკითხების გადაწყვეტა

1. იურიდიული ხასიათის სადაც საკითხები, რომლებიც ეხება უცხოულ ინვესტიციებს ან ინვესტორისათვის გამაცემი კომპენსაციის მოცულობას და გაცემის ჭესს, ან სხვა სახის საკითხებს, შეიძლება განხილულ იქნეს სახელმწიფო საარბიტრაჟო სასამართლოში.

2. უცხოელი ინვესტორების დავა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ექვემდებარება განხილვას სასამართლოში, ხოლო უცხოელ ინვესტორთა მოთხოვნით — სამედიატორო სასამართლოში, ან მხარეთა ურთიერთშეთანხმებით — საარბიტრაჟო სასამართლოში საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილია სხვა წესები, ვიდრე განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით, გამოიყენება საერთაშორისო შეთანხმების ჭესი

მუხლი 9. შემოსავლების რეინვესტირება და საზღვარგარეთ გატანა

1. უცხოელ ინვესტორებს გარანტირებული აქვთ მათი კუთვნილი თანხების შეუფერხებელი გადარიცხვა საზღვარგარეთ უცხოური ვალუტით, რომელიც მიიღება: მოგების განაწილების, საწარმოს საწესდებო ფონდში მათი წილის სხვისთვის დათმობის, საწარმოდან გასვლის ან საწარმოს ლიკვადაციის, ქონების, აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შედეგად აგრეთვე მიწით სარგებლობის და სხვა ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე.

2. უცხოელი ინვესტორების მიერ მანეთებში მიღებული მოგება შეიძლება რეინვესტირებული იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე აგრეთვე მიწით სარგებლობის და სხვა ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე.

3. უცხოელ ინვესტორებს შეიძლება საქართველოს ბანკებში ჰქონდებით ანგარიშზე თანხები მანეთებში საზღვარგარეთ გადარიცხვის უფლების გარეშე, გარდა იმ ქვეყნებისა, სადაც ოფიციალურ ფულის ნიშანს წარმოადგენს მანეთი.

უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს ანგარიშებიდან საზღვარგარეთ გადარიცხოს თანხა მათი უცხოურ ვალუტაზე საბაზრო კურსით კონვერტიროს გზით.

საწარმოს შექმნა უცხოური ინვესტიციით

მუხლი 10. უცხოური ინვესტიციით შექმნილ საწარმოთა სახეები

1. უცხოური ინვესტიციით საწარმო შეიძლება შეიქმნას ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას.

2. საქართველოს რესპუბლიკაში უცხოეთის სახელმწიფოების ინვესტორების მიერ იქმნება:

უცხოეთის სახელმწიფო ფიზიკური პირის (პირების) საწარმო;

უცხოეთის სახელმწიფოს იურიდიული პირის (პირების) საწარმო;

უცხოეთის სახელმწიფოს ფიზიკური და იურიდიული პირების წილობრივი აუკირების საწარმო;

უცხოეთის სახელმწიფოს ფიზიკური და (ან) იურიდიული პირების და აქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური და (ან) იურიდიული პირების წილობრივი საკუთრების საწარმო.

მუხლი 11. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს ექსპერტიზა უცხოური ინვესტიციებით საწარმოს შექმნისათვის აუცილებელია ეკო-ლგიური ექსპერტიზა. თუ საწარმოს შექმნა დაკავშირებულია მსხვილმასშტაურ მშენებლობასთან ან რეკონსტრუქციასთან, მაშინ აუცილებელია საერთო ქართველობის ჩატარება. ექსპერტიზა ტარდება საქართველოს რესპუბლიკაში იქმნები კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. უცხოური ინვესტიციით შექმნილი საწარმოს რეგისტრაცია

1. საქართველოს რესპუბლიკაში უცხოური ინვესტიციით შექმნილ საწარმოს რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ ელექტრონული ფორმა.

2. უცხოური ინვესტიციით შექმნილი საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

ა) მთლიანად უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოსათვის: წერილობითი განცხადება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების შესახებ; საწარმოს წესდება;

ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წერილობითი თანხმობა.

ინვესტორის გადახდისუნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი, გამჟღალი მისი მომსახურე საქრედიტო-საფინანსო ორგანიზაციის მიერ.

ბ) უცხოელი ინვესტორის მონაწილეობით შექმნილი საწარმოსათვის: წერილობითი განცხადება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების შესახებ; საწარმოს წესდება;

საწარმოს შექმნის ეკონომიკური დასაბუთება;

ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წერილობითი თანხმობა;



ინვესტორის გადახდის უნარიანობის დამაღალსტურებელი ღოკუშმერი, გაცემული მისი მომსახურე საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციის მიერ;

გ) უცხოური ინვესტიციით შექმნილი ქვესაწარმოსა და ფილიალისათვეს ქვესაწარმოს (ფილიალის) დამაარსებელი საწარმოს ხელმძღვანელობის წერილობითი განცხადება;

ქვესაწარმოს (ფილიალის) დამაარსებელი საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ქვესაწარმოს წესდების (ფილიალის დებულების) ნოტარიულად დამტმებული ასლი;

ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წერილობითი თანხმობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც სამეწარმეო საქმიანობისათვის საჭიროა მიწა ან სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყოფა, ნებართვას ამ რესურსების გამოყიფის შესახებ იძლევა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი ორგანო. აღნიშნული ნებართვა საჭიროა საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციისათვის.

უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს დამფუძნებელ ღოკუშმერ ტებში უნდა აისახოს მონაწილეობა კონკრეტული ვალდებულებანი, რომლებიც ეხება საწარმოს საწესდებო კაპიტალში თითოეული მონაწილის შენატანების შეფასებას, შეტანის ვადებს, ობიექტს და წესს.

ქონების ღირებულება, რომელიც შეაქვთ უცხოური ინვესტიციით შექმნილი საწარმოს მონაწილეებს საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით, გაანგარიშება მსოფლიო ბაზრის ფასებით. ამ ფასების არსებობის შემთხვევაში კი — მონაწილეობა მოლაპარაკების საფუძველზე.

3. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს, ქვესაწარმოსა და ფილიალის დამფუძნებელ ღოკუშმერ ტებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, საჭიროა მათი ხელახლი რეგისტრაცია.

4. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო დამფუძნებელ ღოკუშმერ ტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანიდან 30 დღის განმავლობაში სარეგისტრაციო ორგანოში წარადგენ ნოტარიულად დამოწმებულ საბუთებს

5. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია 30 დღის განმავლობაში რეგისტრაციაში გაატაროს უცხოური ინვესტიციით შესაქმნელი საწარმო ან აცნობოს განმცხადებელს რეგისტრაციაზე უარის მიხეზი.

6. რეგისტრაციაზე შეიძლება უარი ეთქვას იმ უცხოური ინვესტიციების შექმნილ საწარმოს, რომლის დამფუძნებელი ღოკუშმერ ტები არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას ან დარღვეულია საწარმოს შექმნის დადგენილი წეს.

რეგისტრაციაზე უარის თქმა ობიექტის შექმნის მიზანშეუწონლობის მოტივით დაუშვებელია. გამონაცვლის შეადგენს ის შემთხვევები, როდესაც საწარმო იქმნება მთლიანად უცხოური ინვესტიციებით.

სახელმწიფო რეგისტრაციაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომელსაც გამცხადებელი უსაფუძვლოდ თვლის, შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლებრივით.



7. უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს საქმიანოფენციალო დაწყება შეუძლია რეგისტრაციის მომენტიდან. ინფორმაცია საწარმოს რეგისტრაციის შესახებ ეცნობება ხელისუფლების აღგილობრივ ორგანოებს საწარმოს აღგილმდებარეობის მიხედვით და რეესტრის მწარმოებელ ორგანოს რეესტრაციის შესატანად.

მუხლი 13. საწესდებო კაპიტალის შექმნის წესი

უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს მონაწილეები ვალდებული არიან რეგისტრაციიდან 1 წლის ვადაში შეასონ საწესდებო კაპიტალი, წინააღმდეგ შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო საწარმოს აცხადებს ლიკვიდირებულად. განსაკუთრებულ შემთხვევაში რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია საწესდებო კაპიტალის შეგვების ვადის გაგრძელება.

გ პ რ ი ვ

უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს საქმიანობა

მუხლი 14. საწარმოს საქმიანობა

1. უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს შეუძლია ეწეოდეს ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც პასუხობს საწარმოს წესდებაში გათვალისწინებულ მიზნებს და არ არის აკრძალული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით. ცალკეული სახის საქმიანობა, რომლის ნუსხასაც განაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა, საწარმოს შეუძლია წარმართოს მთოლოდ სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე;

2. ფასაძინი ქალალდების ბაზარზე საბანკო, სავალუტო, სადაზღვივო და სპუამავლო საქმიანობა დაიშვება სპეციალური ლიცენზიებით, რომლებიც ფაიფრა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ.

მუხლი 15. სტრუქტურული ქვედანაყოფები

1. უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს, როგორც საქართველოს ჩესპუბლიკის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ შეუძლია შექმნას უცხოური პირის უფლების მქონე ქვესაწარმოები, აგრეთვე იურიდიული ისრის უფლების არქონე ფილიალები, წარმომადგენლობები და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები.

2. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოები, ქვესაწარმოები, ფილიალები, წარმომადგენლობები და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები შექმნებენ უცხოური ინვესტიციით შექმნილი საწარმოს მიერ დამტკიცებული წესდების ან დაბულების საფუძველზე.

მუხლი 16. კავშირებისა და სხვა გაერთიანებების შექმნა

უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებს შეუძლიათ ნებაყოფლობით საფუძველზე გაერთიანდნენ სხვადასხვა კავშირებში, ასოციაციებში რენცერნებში, დარგთაშორის, რეგიონალურ და სხვა სახის გაერთიანებებში.

მუხლი 17. ფასები და პროდუქციის ხარისხი

უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებს უფლება აქვთ სახელშეკრულების საფუძველზე დაადგინონ ფასები თავიანთ პროდუქციაზე და მათ რეალიზაციის წესი.

მუხლი 18. შეღავათები

1. ქონება, რომელიც დამტუქნებელი დოკუმენტების მიხედვით უცხოური ინვესტორებს საქართველოს რესპუბლიკაში შემოაქვთ საწარმოს საწესდებები კაპიტალში შენატანის სახით, აგრეთვე ქონება, რომელიც განკუთვნილია სკუთარი მოხმარებისათვის, თავისუფლდება საბაჟო გადასახდელისაგან და ამ იბეგრება იმპორტზე გადასახადით.

2. უცხოული ინვესტორის თავისუფალი კონცერტირებული ვალუტი შენატანი საწარმოს საწესდებო კაპიტალში ირიცხება მოცემული საწარმო ანგარიშზე ვალუტით და დაუბრკოლებლად შეიძლება გამოიყენოს საწარმოს საერთაშორისო ბაზარზე თავისი საქმიანობისათვის საჭირო წარმოების საშუალებათა შესაძნად. ამ სახით შეძენილი წარმოების საშუალების საქართველოს რესპუბლიკაში შემოტანა თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან და ამ ექვემდებარება იმპორტზე გადასახდის.

3. საწარმოები, რომლებიც მთლიანად შექმნილია უცხოური ინვესტიციებით და საწარმოები, რომლის საწესდებო კაპიტალში უცხოური ინვესტიციები შეადგენენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსაზღვრულ პროცენტულ ოდენბას, უფლებამოსილი არიან საკუთარი წარმოების პრი ფუქცია გაიტანონ საექსპორტოდ და საყუთარი საჭიროებისათვის შემოიტანინ პროდუქცია ლიცენზიის გარეშე. საყუთარი წარმოების საექსპორტო დ საყუთარი საჭიროებისათვის შემოტანილი (იმპორტული) პროდუქციის გასაზღვრის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

4. უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს სავალუტო ამონაგები საკუთარი პროდუქციის ექსპორტიდან მთლიანად რჩება მის განკარგულებაში უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს სხვა პროდუქციის (სამუშაოების და მომსახურების) ექსპორტი და იმპორტი ხდება საერთო საფუძველზე.

5. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო, აგრეთვე უცხოური ინვესტორი გადასახადებს იხდის მოქმედი კანონმდებლობით. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დამატებით ადგენს იმ დარგებისა და საქმიანობას სახეების ნუსხას, რომლებზეც ვრცელდება შეღავათიანი დაბეგვრა.

მუხლი 19. საფინანსო, საკრედიტო და საანგარიშსწორებო პპერაციები

უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო საფინანსო, საკრედიტო და საანგარიშსწორებო პპერაციებს (მათ შორის სავალუტოს) ახორციელების საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 20. დაზიანევა

უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო დამოუკიდებლად ირჩევა თავისი ქონებისა და რისკის დამზღვევ ორგანიზაციისა.

მუხლი 21. ფინანსური და კომერციული საქმიანობის შემოწმება დაზიანების მიზნით



უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს ფინანსური და კაშაბაშვილის მიერ საქართველოს საქართველოს მიზნით ხორციელდება აუდიტორული ორგანიზაციების მიერ. საჭიროების შემთხვევაში საწარმოებს შეუძლიათ ისარგებლონ უცხოური აუდიტორული ორგანიზაციის მომსახურებით.

მუხლი 22. აღრიცხვა და ანგარიშებები

უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშება წარმოებს საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი წესით;

უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო საბალანსო შეფასებისა და აღრიცხვის მიზნით ახორციელებს უცხოური ვალუტის გადაანგარიშებას მანეთებზე გადაანგარიშების მომენტში არსებული კომერციული კურსით.

მუხლი 23. ინტელექტუალური საკუთრების უფლება /

1. უცხოელი ინვესტორების ინტელექტუალური საკუთრების უფლების განხორციელება და დაცვა (ლიტერატურული, სამეცნიერო და მხატვრული ნაწარმოების საავტორო უფლების, მათ შორის კომპიუტერული პროგრამები პატენტების და სხვა უფლებები გამოგონებაზე და სამრეწველო ნიმუშებზე „ნოუ-ჰოუ“), კომერციულ საიდუმლოებაზე, სასაქონლო და მომსახურების ნიშნებზე, საფინანსო სახელწოდებათა ნიშნების დაცვაზე) უზრუნველყოფილი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

2. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო თავის თანამშრომლებთან აფორმებს ხელშეკრულებას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე, რომელიც იქმნება მათ მიერ საწარმოსათვის განსაზღვრული კონკრეტული მოცანის შესრულების შედეგად.

პატენტი გამოგონებაზე და სამრეწველო ნიმუშებზე მიეცემა საწარმოს, თუკი თანამშრომელსა და საწარმოს შორის შესაბამისი ხელშეკრულებაა გაფორმებული. ეს ხელშეკრულება პატენტის მიღების უფლებაზე, პატენტის მიღების უფლების დათმობასთან ერთად განსაზღვრავს საწარმოს ვალდებულებებს თანამშრომელთა მატერიალური, საწარმოო და სოციალური პირობების უზრუნველყოფისათვის.

3. თუ უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოსა და თანამშრომელს შორის აღნიშნული ხელშეკრულება არ დადებულა, მაშინ პატენტი მიეცემა საწარმოო ნიმუშის ან გამოგონების ავტორს. საწარმოს უფლება აქვს გამოიყენოს ეს გამოგონება ან საწარმოო ნიმუში იმ პირობით, რომელიც განისაზღურება პატენტის მფლობელ ავტორთან შეთანხმებით.

4. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას მისი კუთვნილი გამოგონებისა და სამრეწველო ნიმუშის საზღვარგარეთ დაპატენტებაზე.

მუხლი 24. შრომითი ურთიერთობანი

1. საწარმოო და შრომითი ურთიერთობანი, მუშაკთა გათავისუფლება და დაქირავება, შრომისა და დასვენების რეესტრი, შრომის ანაზღაურების პირობები, გარანტიები და კომპენსაციები უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოში რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულებით.



შრომითი ხელშეკრულების პირობებშია არ უნდა გააუარესონ საჭარბელოს ტიპის თანამშრომელთა მდგომარეობა იმ პირობებთან შედარებით, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკური მოქმედი კანონმდებლობით.

2. პროფესიული კავშირების საქმიანობა უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოში ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს მართვის ნებისმიერობა მოძიება შევიღნენ უცხოეთის მოქალაქეები. სხვა უცხოელ მუშაკთა დაქირავება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი ორგანოს თანხმობის საფუძველზე.

უცხოელი თანამშრომლების დაქირავებისა და შრომითი საქმიანობის სკითხების შეთანხმება ხდება თითოეულ მათგანთან დადებული ინდივიდუალური ხილ ხელშეკრულებით საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

უცხოელი თანამშრომლების მიერ უცხოური ვალუტით მიღებული ხელფასი საშემოსავლო გადასახადის გადახდის შემდეგ შეიძლება გატანილ იქნება საზღვარგარეთ.

მუხლი 25. საწარმოს მუშაკთა სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა

უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს მუშაკთა სოციალური დაზღვევა და მათი სოციალური უზრუნველყოფა (უცხოელი თანამშრომლების საპენსიო უზრუნველყოფის გარდა) რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო უცხოელ მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფისათვის გადასახადებს გადარიცხავს ვალუტით იმ ქვეყნის ნების შესაბამის ფონდში, სადაც ეს მუშაკები მუდმივად ცხოვრობენ.

უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს შეაქვს ანარიცხები ადგილობრივ და უცხოელ მუშაკთა სახელმწიფო სოციალური დაზღვევისათვის ხოლო ადგილობრივ მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფისათვის იმ განაკვეთ ბით, რომლებიც განსაზღვრულია საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

მუხლი 26. საწარმოს ლიკვიდაცია

უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს ლიკვიდაცია ხდება სკართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზოგად გამსახურდის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საგარეო საგვიროს

დ ა ღ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

491 „უცხოური ინვესტიციების უზენაეს“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ უმოღვავის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1991 წლის პირველი სექტემბრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

492 საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადგენის, რატიფიკაციის, უსრულებელი და დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების მიმართ. მიუხედავად მათი ფორმისა და სახელწოდებისა (ხელშეკრულება, შეთანხმება, კონვენცია, პაქტი, ქარტია, ოქმი, დეკლარაცია, კომუნიკა, წერილებრივი ან წოტების გაცვლა სხვა ფორმისა და სახელწოდების საერთაშორისო ხელშეკრულება).

I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის ამოცანები

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების სახელმწიფოაშორისო და სამთავრობათაშორისო ხელშეკრულების დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების მიმართ. მიუხედავად მათი ფორმისა და სახელწოდებისა (ხელშეკრულება, შეთანხმება, კონვენცია, პაქტი, ქარტია, ოქმი, დეკლარაცია, კომუნიკა, წერილებრივი ან წოტების გაცვლა სხვა ფორმისა და სახელწოდების საერთაშორისო ხელშეკრულება).

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულება უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან იდება საქართველოს რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით.

საქართველოს რესპუბლიკა საერთაშორისო ხელშეკრულების დადებისა და შესრულებისას ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით.



**II. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების
დადგების პროცედურა**

მუხლი 3. წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო
ხელშეკრულების დადგების შესახებ

წინადადებებს საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადგების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

მუხლი 4. ვადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო
ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკების გამართვის თაობაზე

ვადაწყვეტილებას საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკების გამართვის თაობაზე იღებს:

ა) საქართველოს რესპუბლიკის სახელით დასადებ ხელშეკრულებაზე — საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით დასადებ ხელშეკრულებაზე — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

მუხლი 5. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების
თაობაზე მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების თაობაზე
მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილებას იღევა:

ა) საქართველოს რესპუბლიკის სახელით დასადებ ხელშეკრულებაზე —
საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით დასადებ ხელშეკრულებაზე — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

უცხოეთის სახელმწიფოში საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური
წარმომადგენლობის მეთაურს ან ხერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველო
რესპუბლიკის წარმომადგენლობის მეთაურს შესაბამის სახელმწიფოსთან ა
კოსტერეტელი საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში მოლაპარაკება შეუძლია
გამოითხოოს საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების
დადგების თაობაზე სპეციალური უფლებამოსილების გარეშე.

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების
თაობაზე მოლაპარაკების გამართვა და ხელმოწერა სპეცია
ლური უფლებამოსილების გარეშე

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარესა და საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთ
მინისტრს შეუძლიათ გამოითხონ მოლაპარაკება და ხელი მოაწერონ საქართვე
ლოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებას სპეციალური უფლება
მოსილების გარეშე.

მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების
ხელმოწერის სპეციალური უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებაზე ხელმ
წერის სპეციალურ უფლებამოსილებას იღევა:

ა) საქართველოს რესპუბლიკის სახელით დასაღებ ხელშეკრულებაზე —
საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით დასაღებ ხელშეკრულებაზე — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

III. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების

რატიფიკაცია

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების
რატიფიკაცია

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესახამისად საქართველოს
რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციას ახდენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის სარატიფიკაციო საერთაშორისო
ხელშეკრულება

რატიფიკაციას ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდაბეჭიდის შესახებ; ხელშეკრულება ძალის გამოყენებაზე ან ძალის გამოყენებით ღმიუქრებაზე ორმხრივი უზრის თქმის შესახებ; ხელშეკრულება ურთიერთცნობისა და ღიპლომატური ურთიერთობების დამყარების შესახებ; საზაო ხელშეკრულება; ხელშეკრულება სხვა სახელმწიფოებთან საქართველოს ტერიტორიული გამიჯვნის შესახებ; ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობაში მოცემული წესებისაგან განსხვავებით სხვა წესებს ადგენს.

რატიფიკაციას ექვემდებარება იგრძოვე საქართველოს რესპუბლიკის ის საერთაშორისო ხელშეკრულება. რომელზეც მხარეები დაოქვამდნ მათი შემდგომი რატიფიკაციის აუცილებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს საკუთარი ინიციატივით შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის სხვა სახის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკირება.

მუხლი 10. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებაზე
ბის სირატიფიკაციოლ წარდგენი

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებას საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს სარატიფიკაციოლ წარდგენს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ხოლო შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებას — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე:

მუხლი 11. სარატიფიკაციოლ წარდგენილ საქართველოს რესპუბლიკის
საერთაშორისო ხელშეკრულების წინასწარი განხილვა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა
მუდმივი კომისია წინასწარ განიხილავს სარატიფიკაციოლ წარდგენილ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების და იძლევა შესაბამის დასკვნებს.

მუხლი 12. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ სარატიფიკაციოდ წარდგენილ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების განთხილავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და გამოაქვს შესაბამის გადაწყვეტილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ მიღება დადგენილების სახით. რატიფიკაციის შესახებ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე რატიფიკაციის გაცემულ სიგელს ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ხოლო ადასტურებს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც საჭიროებს რატიფიკაციას და არ იქნება რატიფიცირებული უზენაესი საბჭო მიერ, ჩაითვლება იურიდიული ძალის არმქონედ.

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულება არ ქნება რატიფიცირებული, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს ეს ხელშეკრულება კვლავ წარუდგინოს სარატიფიკაციოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ნესიას.

მუხლი 13. რატიფიკაციის სიგელების გაცვლა და შესანახად ჩაბარება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციის სიგელებს ცვლის და დეპოზიტორებს შესანახად აბარებს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო ან მისი დავალებით — საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილი პირი.

მუხლი 14. საერთაშორისო ხელშეკრულებასთან შეერთება გადაწყვეტილებას საერთაშორისო ხელშეკრულებასთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ იღებს:

1) სარატიფიკაციო ხელშეკრულების თაობაზე — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდება;

2) არასარატიფიკაციო ხელშეკრულების თაობაზე, რომელთან შეერთდაც ხდება საქართველოს რესპუბლიკის სახელით, — საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი;

3) იმ არასარატიფიკაციო ხელშეკრულების თაობაზე, რომელთან შეერთდაც ხდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით, — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.



IV. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულება

მუხლი 15. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა

საქართველოს რესპუბლიკა საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებას განუხელად უნდა იცავდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად ახორციელებენ ღონისძიებებს საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფად.

მუხლი 16. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების ბით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულება

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები, დეპარტამენტები, უწყებები და სხვა სახელმწიფო ორგანოები, რომელთა კომპეტენციაშიც შედის საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრავით საქითხები, უზრუნველყოფენ მათ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას, თვალს ადევნებენ ასეთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკისათვის მინიჭებული უფლებების განხილვისას და ხელშეკრულების სხვა მონაწილეების მიერ ვალდებულებათა შესრულებას.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულებისადმი საერთო მეთვალყურეობას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

მუხლი 17. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების სხვა მონაწილის მიერ ვალდებულებათა დარღვევა

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა სხვა მონაწილეების მიერ დარღვევის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის სხვა სამინისტროები, დეპარტამენტები და უწყებები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით წარუდგენენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს წინადადებებს საჭირო ღონისძიებების განხილვისათვის. ეს ღონისძიებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სხვა მონაწილეთა მიერ ასევებით დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ასეთი ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ამ კანონის 20-24 მუხლებით დადგენილი წესით.

V. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების
გამოქვეყნება და რეგისტრაცია

მუხლი 18. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების
გამოქვეყნება

საქართველოს რესპუბლიკის სახელით დადგებული ძალაში შესული საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულება, რატიფიცირებული ხელშეკრულება და ხელშეკრულება, რომელთან შეერთებაც მოხდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ქვეყნდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებებში.

საქართველოს რესპუბლიკის შთავრობის სახელით დადგებული ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულება, არასარატიფიკაციით ხელშეკრულება და ხელშეკრულება, რომელთან შეერთებაც მოხდა საქართველოს რესპუბლიკის შთავრობის გადაწყვეტილებით, ქვეყნდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა კრებულში.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის ავთვენტური ტექსტები შედგენილია უცხო ენებზე, ქვეყნდება ამ ენათაგან ერთ-ერთზე ოფიციალური ქართული თარგმანითურთ.

მუხლი 19. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების
რეგისტრაცია

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

VI. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების
დენონსაცია

მუხლი 20. წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო
ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ

წინადადებებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისო და სამთავრობათაშორისო ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს რეგუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით.

მუხლი 21. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების
ბის სადენონსაციოდ წარდგენა

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებას საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს სადენონსაციოდ წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მუხლი 22. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების
დენონსაცია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დენონსაციას საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებისას, რომლის ხელმოწერის გადაწყვეტილებაც მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ, ასევე რატიფიცირებული ხელშეკრულებისას და იმ ხელშეკრულებისას, რომელთან შეერთებაც მოხდა საქართველოს



რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ანდენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ მიღება დადგენილების სახით.

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულება არ იქნება დენონსირებული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს ეს ხელშეკრულება კვლავ წარუდგინოს სადენონსაციოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიას.

მუხლი 23. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსაციის წინადადებების წინასწარი განხილვა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა შედმიერი კომისია წინასწარ განხილავს სადენონსაციოდ წარდგენილ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების და იძლევა შესაბამის დასკვნას.

მუხლი 24. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების გაუქმება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომლის ხელმოწერის გადაწყვეტილებაც მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით დადებულ არასარატიფიციალურ ხელშეკრულებას, რომელთან შეერთებაც მოხდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა საფუძველზე, აუქმებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარდგინებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზოგად გამსახურდის.

თბილისი, 1991 წლის 25 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საგარეო საგარეო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

493 „საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადგენილების რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის პანონის სამოქმედო უფლებების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადგენილების, რატიფიციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედო შემოღებულ იქნეს მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაკი ასათიანი. თბილისი, 1991 წლის 25 ივნისი.



საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის უზრუნველყოფის სამინისტრო

დ ა დ გ მ ნ ი ლ ე ბ ა

494 ათომში იარაღის გაუცხოებების ხელშეკრულების ზე.
სახელმწიფო

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის სამინისტრო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აცხადებენ, რომ უერთდებიან ატომური იარაღის გაუცხოებების შესახებ 1968 წლის 1 ივნისის ხელშეკრულების და თავიანთ საქართველოში განცხრელად იხელმძღვანელებენ მასში ჩამოყალიბებული დებულებებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის სამინისტროს თავმჯდომარე აპარატი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის სამინისტრო

დ ა დ გ მ ნ ი ლ ე ბ ა

495 საქართველოს რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიგობრობისა და კოთილების გაუცხოების ხელშეკრულების რატიფიკაციის ზესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის სამინისტრო ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს 1991 წლის 12 ივნისს ქ. თბილისში საქართველოს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის დადებული მეცნობრიბისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულება.

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის სამინისტროს თავმჯდომარე აპარატი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

496 საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის ცვლილებათა და დამატებათა ზეთანის ზესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის სამინისტრო ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 121² მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქტირით:

„საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქმის დაბადებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, ოცდათხუთმეტიდან სამოცდასუთ წლამდე ასაკისა, რომელსაც საქართველოში მუზმივად უცხოვრია არანაკლებ უკანასკნელი ხუთი წლისა.“

2. 121⁴ მუხლის შე-10 და მე-13 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რეაქციით:

„10) ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის კანონებს; უფლება აქვს არაუგვიანეს ორი კვირის ვადისა დაუბრუნოს კანონი თავისი საწინააღმდეგო მოსახრებებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ან ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ხელახლი განხილვისა და კენჭისყრისათვის. თუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ან ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ხმების ორი მესამედის უმრავლესობით დაადასტურებს თავის შეირ წინათ მიღებულ გადაწყვეტილებას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის კანონს ან გამოსცემს ბრძანებულებას ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მოქმედების შეჩერების მოხსნის შესახებ, ან გადასცემს მათ სარეცერვო დოკუმენტს.“

„13) უფლება აქვს გააუქმოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დაფლენილებები და განკარგულებები, სამინისტროებისა და სხვა საქვეუწყებო ორგანოთა აქტები, პრეფექტების განკარგულებები და ბრძანებები; შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკის კანონების, ავტონომიური რესპუბლიკის უწევების საბჭოს დადგენილებების და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების მოქმედება, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს.“

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამახურდია.

მიმღისი, 1991 წლის 25 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

497 საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 75-ე მუხლის განმარტების თაობაზე

ახალქალაქის რაიონის სომებშა მოსახლეობამ დააყენა საკითხი რაიონის ტერიტორიაზე ქართული ენის გარდა სომხური ენის გამოყენების შესახებ. მასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე წესლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

განმარტოს, რომ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენა არის ქართული ენა. მის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის ყველა



სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოიყენება ქართული ენა. მისამართის დაწესებულებებში ოფიციალურ ენად გამოიყენება ქართული ენა. მისამართის დაწესებულებებში 75-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ზემოაღნიშნულ თრგანოებსა და დაწესებულებებში უზრუნველყოფილია თავისუფალი ხელი ჩება სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. კონსტიტუციის მქონე დებულების საფუძველზე ახალქალაქის რაიონის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში ქართულ ენასთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს რუსული და სომხური ენებიც.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

498 სასოფლო-სამეურნო, პოვინისა და გადამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სამსახურთათვის ბანკის ვადაგებადაცილებული დაბადების გადამდებარების სამინისტროს რეკომენდაციების მიზანთან დაკავშირებით არსებული შდგომარეობის შესასწავლად და სათანადო რეკომენდაციების შესაბუნებელად შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი კომისია შემდეგი შემაჯერებლობით:

თავმჯდომარე — გელა კობერიძე, უზენაესი საბჭოს წევრი.

წევრები:

რევაზ კაცულია — ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის მოადგილე მალხაზ კვანძილაშვილი — უზენაესი საბჭოს წევრი

პაარტა კოლუაშვილი — უზენაესი საბჭოს წევრი

დავით ტაბიძე — უზენაესი საბჭოს წევრი

გივი ურიალმუჯველი — უზენაესი საბჭოს წევრი

შერაბ ურიდია — უზენაესი საბჭოს წევრი

მიხეილ ჩიქვილაძე — ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის საკონსლონო-სარევეიზით სამმართველოს უფროსი

გელა ჩორგოლაშვილი — უზენაესი საბჭოს წევრი

ნოდარ გავახიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის ბანკის მმართველის
მოადგილე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

499 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაფვე-
ვის წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი
ცელისადმისა და დამატებითი შემთანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის
შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 27-ე-31-ე მუხლები ჩამოყა-
ლიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 27. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განცხადების რეგისტრა-
ციის თაობაზე საინიციატივით ჯგუფს ეძლევა ცნობა, ხოლო განცხადება სამი
ღის ვადაში გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამან-
დოორ და დეპუტატის ეთიკის შუდშიც კომისიას. ამ განცხადებას ორი კვირის
ვადაში განიხილავს უზენაესი საბჭო, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — უზე-
ნაესი საბჭოს პრეზიდიუმი და თუ დასაბუთებულად მიიჩნევს დეპუტატის
კაწვევის მოტივს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ავალებს განცხადებისა-
რებს მსვლელობის მიცემას.**

**მუხლი 28. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ან უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის დავალების მიღებიდან ცენტრალური საარჩევნო კომი-
სია 3 დღის ვადაში აცნობებს გადაწყვეტილებას საინიციატივო ჯგუფის წარ-
მომადგენელს და უფლებას ძლიერს საინიციატივო ჯგუფს შეაგროვოს საარ-
ჩევნო ოლქის ამომრჩეველთა ხელმოწერები აღნიშნულ საკითხთან დაკავში-
რებით.**

ხელმოსაწერი დოკუმენტის ყოველ ფურცელზე უნდა იყოს დეპუტატის
კაწვევის მოთხოვნის ტექსტი, გაწვევის მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელით
დაწერილი ამომრჩევლის სახელი, გვარი, მისამართი, პასპორტის სერია და
ნომერი, ხელმოწერის თარიღი და ხელმოწერა. ფურცლები დანომრილი უნდა
იყოს. თითოეული ფურცელი უნდა დამოწმდეს საინიციატივო ჯგუფის ცველა
წევრის ხელმოწერით.

**მუხლი 29. საინიციატივო ჯგუფმა უფლების მიღებიდან ორი კვირის ვა-
დაში შესაბამის ოლქში უნდა მოაგროვოს დეპუტატის კაწვევის მხარდამჭერ
ამომრჩეველთა ხელმოწერები ოლქის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის სულ
ცოტა 10 პროცენტის ოდენობით.**

მუხლი 30. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მითითებით საოლქო საარჩევნო კომისიის უზენაესი საბჭოს წევრის ნდობით აღჭურვილ პირებთან და საინიციატივო ჯგუფის წევრებთან ერთად ორი კვირის ვადაში შერჩევითაც ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერების სისტორებს. შესამოწმებელი ხელმოწერების რაოდენობას აღვენს ცენტრალური საარჩევნო კომისია, იმ შემთხვევაში, თუ მხარდამჭერთა საერთო რიცხვის 5 პროცენტის ხელმოწერის სისტორე არ დადასტურდება (თითოეულ ასეთ შემთხვევაში დგება სათანადო ჭრი), ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიის წარმონაბრძობის საფუძველზე წყვეტს საინიციატივო ჯგუფის საქმიანობას.

მუხლი 31. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია ერთი კვირის ვადაში განიხილავს უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევასთან დაკავშირებულ მასალებს და თუ შესრულებული იყო იმ კანონის ყველა მოთხოვნა, ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში არჩეული დეპუტატის გაწვევის კენჭისყრას“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზეიად გამსახურდის.

თბილისი, 1991 წლის 25 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საგვო

დ ა დ გ მ ნ ი ლ ე ბ ა

500 „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საგვო ზევრის გადავის წვევის წესი წესი უზენაესი საქართველოს რესპუბლიკის კანონის ცვლილებებისა და დამატებებისა და დამატებების უზენაესი თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივნისის კანონის სამოქმედოდ უზენაესი გავრცელდება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღვენს:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესი შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივნისის კანონი სამოქმედოდ უზენაესი გავრცელდება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველის საგმოს

დ ა დ გ მ ნ ი ლ ი ბ ა

501 უოფილი ცენზაციის რაიონის ტრიტორიაზე მართველობის დროებითი ორგანოების უფასისა და საკრებულოთა არჩევნების დანიშნულის უსახევად

ყოფილი ცხინვალის რაიონის ტერიტორიაზე ასებული რთული მდგომარეობის გამო დღემდე ვერ ჩატარუა საკრებულოთა არჩევნები. მდგრად, არ ასებობს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის არავითარი ორგანო თემისა და სოფლის დონეზე.

ვანისილა ა. ქ. გორისა და გორის რაიონის პრეფექტის წინადადება ყოფილი ცხინვალის რაიონის ტერიტორიაზე სახელმწიფო მმართველობის დაგელობრივი დროებითი ორგანოების შექმნისა და საკრებულოთა არჩევნების ჩატარების შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველისი საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ქ. გორისა და გორის რაიონის პრეფექტის დანიშნოს პრეფექტის დროებითი წარმომადგენლები საკრებულოს გამგებლის უფლებამოსილებით ყოფილი ცხინვალის რაიონის ყოფილი სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე, მათი შესანიში ხარჯები გაღებულ იქნეს ასებული საშტატო ერთეულების რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში.

2. პრეფექტის უროგებითი წარმომადგენლის უფლებამოსილება შეწყდეს შესაბამისი საკრებულოს ვამგეობის თავმჯდომარის (ვამგებლის) არჩევისთანავე.

3. ქურთა, ქმერტისა და ბერულის თემთა საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნები ჩატარდეს შესაბამისად 1991 წლის 25, 26 და 28 სექტემბერს.

4. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველისი საბჭოს თავმჯდომარე პაპაში ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველის საგმოს

დ ა დ გ მ ნ ი ლ ი ბ ა

502 ნ. ა. წულეისირის საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების უსახევად

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველისი საბჭო ადგენს:

თბილისი მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ნოდარ ალექსანდრეს ქ. წულეისირის საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველისი საბჭოს თავმჯდომარე პაპაში ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის საგარენი საგრმოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

503 მ. ლ. კალანდაძის საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრის
ცისტრად დანიშნულის უზრუნველყოფის მინისტრის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის საბჭო აღგენს:

თანხმობა შეიცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ედმონტოვის მინისტრის გადაწყვეტილების საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრის გადაწყვეტილების მინისტრის გადაწყვეტილების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის საბჭოს თავმჯდომარე პაპაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის საგრმოს საგრმოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

504 საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის საგრმოს პრესცენტრის
პროგნოზირებისა და საინფორმაციო ცენტრის უზრუნველყოფის მინისტრის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის საბჭო აღგენს:

ჯამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის საბჭოს პრეზიდენტის 1991 წლის 21 ივნისის დადგენილებები უზრუნველყოფის საბჭოს პრესცენტრის პროგნოზირებისა და საინფორმაციო ცენტრის გაუქმებისა და მათი საშენო ერთეულების საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პარატისათვის გადაცემის თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველყოფის საბჭოს თავმჯდომარე პაპაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ივნისი

განცოლილება მისამი

საქართველოს რესპუბლიკის უზნავისი საგაოსა და საქართველოს
 რესპუბლიკის პრეზიდენტის

მ ი მ ა რ თ ვ ე ბ ი

ამიერკავკასიის საგხელრო ოლქის სარდალს
505 გენერალ-კოლონელი ვ. ა. პატრიკევის

20 ივლისს ქ. სოხუმში, შემდეგ კი 21 ივლისს ქ. თბილისში რამდენიმე თებელი სამხედრო მოსამსახურე გახდა მასობრივ უწყესრიგობათა ორგანიზატორი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, სოხუმში ესენი იყენებნ ძირითადად ოფიცირები და სატესანტო-მოიტექიშე ბატალიონის პრაპორჩიები, ხოლო თბილის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტები.

სამხედრო მოსამსახურენი, რომლებიც ღამის საფარველქვეშ ცალკეულ ჯუფებად მოქმედებდნენ, ახერხდნენ და სცემდნენ გამვლელებს, დაამახინეს ათობით ეტომანქანა, შეცვავდნენ დაწესებულებებში და დაარბიეს მოქალაქეთი სახლები. იმ მოქალაქებს შორის, რომლებმაც სხეულის დაზიანებები მიიღეს, არიან ქალები და ბავშვებიც. ორივე შემთხვევაში სოხუმშიც და თბილისშიც მოფაშისტო ყმაწვილები წინასწარგამზრახულად აბუჩად იგდებდნენ მოქალაქეთა ეროვნულ თავმოყვარეობასა და ღირსებას.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მიერკავებასიის სამხედრო ოლქის სარდლობის ყურადღებას მიაბყრობს ცალკეული ნაწილების პირადი შენადგენლობისა და რიგი სასწავლებლების კურსანტების დისციპლინის დაბალ დონეს, რაც ნაყოფიერ ნიდაგს უქმნის სამხედრო მოსამსახურეთა პროცეციების მდგარი სახის ანტიკუმანიზრი მოქმედებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მოითხოვს სამხედრო პროცეციების ორგანოთა მხრივ გადაუდებელი გამოძიების ჩატარებას, საზოგადოებრივი წესრიგის დაზღვევის მონაწილე სამხედრო მოსამსახურეთა გამოვლენას და ღასხვის.

წინააღმდეგ შემთხვევაში მორალური და იურიდიული პასუხისმგებლობა თვითნებობის ზემოაღნიშნული ფაქტებისათვის დაკისრება მიერკავებასიის სამხედრო ოლქის საჩდლობას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზეიად გამსახურდის.

506 აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის პარ- ლამენტისადმი

1991 წლის 25 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
მექანიკური რატიფიცირებულ იქნა ხელშეკრულება ატომური იარაღის გაუცრცე-
ლებლობის შესახებ.

აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტებს
მოგმართავთ წინადადებით განიხილოთ საკითხი „ზემოაღნიშნული დოკუმენ-
ტის რატიფიციაციის შესახებ. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა წინგადადგ-
მული ნაბიჯი იქნება მომავალში ამიერკავკასიის რეგიონის უბირთვო ზონად
გამოცხადებაში, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კავკასიასა და მთელს რე-
გიონში მშეიძლობის განმტკიცებასა და მდვრმარეობის სტაბილურობას, აგრე-
თე ჩვენი სახელმწიფოების დიპლომატიურ აღიარებას მთელს მსოფლიოში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

აბილისი, 1991 წლის 25 ივნისი.

საბართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

507 საგვორადი კავშირის უზენაეს საგვორადი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, გვეცნ რა სსრ უზენაესი
საბჭოს მიმართვას სომხეთის, საქართველოს, ლიტვის, ლატვიის, მოლდოვასა
და ესტონეთის უზენაესი საბჭოებისადმი, საჭიროდ მიიჩნევს კიდევ ერთხელ
გმოხატოს თავისი პოზიცია ნსრ კავშირთან სახელმწიფოთაშორისი ურთი-
ერთობების პრინციპებთან დაკავშირებით.

კარგად ვიცო, რაოდენ მყარია პოლიტიკური, ეკონომიკური და კულ-
ტურული კავშირები საქართველოსა და საბჭოთა კავშირის შორის. საქართვე-
ლოში დარწმუნებული არიან, რომ მომავალში ეს კავშირები ოვისებრივად
ახალ საფუძველზე უნდა აიგოს. რათა არათუ შევინარჩუნოთ, არამედ უფრო
უვარებელობის უმცესობის უზენაესი მრავალსაუკუნოვანი
ურთიერთობების შედეგად შეიქმნა. მაგრამ ჩვენ ვვგერა, რომ ამას მხოლოდ
ორივე მხარის სუვერენიტეტისადმი ურთიერთბატივისცემის საფუძველზე
შეიძლება მივაღწიოთ. ღრმად ვართ დარწმუნებული, ჩვენი დამოუკიდე-
ბლობა ამ პროცესების გაღრმავებას მხოლოდ ხელს შეუწყობს. ეკროპის მმის-
შემდგომმა განვითარებამ ვვიჩენა, რომ დემოკრატიული ძალების თანამშრო-
უფლებიანი თანამშრომლობა, როცა ყველა აღამიანს ყოველგვარი იდეოლოგიუ-



რი და სხვა დაბრკოლებების გარეშე შეუძლია ეზიაროს ნებისმიერ სულიერ ფასეულობებს, ყველაზე მეტად უწყობს ხელს მჭიდრო კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების დამყარებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, ეყრდნობოდა რა ქართველი ხალხის მიერ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე გამოთქმულ ნებას, გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. მასთან ერთად, არაერთხელ გამოვთქვით ჩვენი მზადყოფნა ურთიერთხელსაყრელი, თნასწორი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობისათვის საბჭოთა კავშირთან და იქ მოსახლე ერებთან. მაგრამ, სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირში არიან გავლენიანი კონსერვატორული ძალები, რომლებიც ყოველნაირად ხელს უშლიან ამ პროცესებს. ისინი ცდილობენ დაარღვიონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ხელს უწყობენ რესპუბლიკაში ეთნოკონფლიქტების გაღვივებას, აწყობენ ეკონომიკურ ბლოკადას, ყოველიანდ უშლიან ხელს მის კავშირებს დანარჩენ მსოფლიოსთან და ამით ცდილობენ „დაგვსაჯონ“. იშისათვის, რომ არ გვსურს ხელი მოვაწეროთ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. ასეთი ქმედება ხელს ვერ შეუწყობს ჩვენს ქვეყნებსა და ერებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ არაერთხელ მიმართა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას წინადადებით ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებთან დაკავშირებული ცველა პრობლემის გადასაწყვეტად მოლაპარაკებების დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ.

ჩვენ მივვაჩნია, რომ ორივე მხარის წინაშე მდგარი პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების სწრაფი გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ჩვენი ურთიერთობების მოწესრიგებას, ქართველ და საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრული კავშირის გაღმავებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადასტურებს თავის მზადყოფნას ნებისმიერ წუთს მიუჯდეს მოლაპარაკების მაგიდას საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობასთან. იმედი გვაქვს, რომ გამოიჩენ კეთილ ნებასა და კეთილგონიერებას ჩვენი სახელმწიფოებისა და ხალხების თავისუფლებისა და იყვავებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

**508 ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესუბლიკის უზანაად
საგონის თავმჯდომარეს ა. ხ. გალაზოვს**

ბატონი თავმჯდომარე!

როგორც ცნობილია, ქართული საზოგადოებრიობა დიდად შეწუხებულია ისტორიული შიდა ქართლის გაკიანურებული კონფლიქტით. არის მსხვერპლი, რომ ლტოლვილნი როგორც ქართველ, ასე ოს მოსახლეობას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო ხანს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზები დაისახა, გარკვეული ძალები მაინც ცდილობენ ჩამალონ ყოველგვარი მოლაპარაკება, რომელსაც ქართველი ერთ ყოველთვის მხარს უჭერდა და ახლაც ამას ესწრავთის. ჩვენ, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებულმა მეზობელმა ქვეყნებმა, უნდა შევძლოთ ურთიერთობის მოგვარება და გარკვეული დროის შემდეგ კათილმეზობლობის აღდგენა. ამას დღესვე უნდა ჩავუყაროთ საფუძველი. ბოლშევიკური ჯარების აგრესის შემდეგ, რასაც თან მოჰყვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის ოკუპაცია, შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, 1922 წლის 20 აპრილს სახალხო კომისართა საბჭოს № 2 სპეციალური დეკრეტით დაზუსტდა ოლქის პოლიტიკური სტატუსი და ტერიტორია, მის დედაქალაქად გამოცხადდა ქალაქი ცხინვალი, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ ქართველებით იყო დასახლებული. შემდეგ სხვადასხვა დროს პირდაპირი წაქეშებით და სამხედრო ძალის დახმარებით ცდილობდნენ თლქის პოლიტიკური სტატუსი შეეცვალათ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ხარჯზე. ასეთი მისტრაფების ბოლო გამოვლინება იყო სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის დაკლარაცია, რომელიც 1990 წლის 20 სექტემბერს მიიღო „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ სახალხო დეპუტატთა სათლეჭ საბჭომ. იმავე დღეს გადაწყდა ავტონომიური ოლქი „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გადაექციათ. 1990 წლის 21 სექტემბერს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი დადგენილებით ბათილად ცნო აღნიშნული აქტები. მიუხედავად იმისა, 16 ოქტომბერს „რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი“ შეიქმნა და არჩევნები დაინიშნა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 22 ნოემბერს ეს დადგენილება ბათილად ცნო და ოსთა მხარე გააფრთხილა, რომ პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა ასეთი აქციებისათვეს. მაგრამ 1990 წლის 9 დეკემბერს ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიაზე მაინც გაიმართა ანტიკონსტიტუციური, უკანონო არჩევნები, მიმართული სახელმწიფოს მთლიანობის წინააღმდეგ. რამდენადაც საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება არასოდეს შეურიგდება მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“, რომელმაც აღადგინა ისტორიული სამართლიანობა და ღირსეული პასუხი გასცა იმათ, ვინც საქართველოს ტერიტო-



რიული მთლიანობის დარღვევას ცდილობს. ოსთა მხარის შემდგომმა მოქმედი კანონი დებამ პროვოკაციულად გააჩვავა კონფლიქტი, რომელიც დღეს გვაქვს. საქართველო-ოსეთის შემდგომ ურთიერთობას საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს რესპუბლიკის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, ტერიტორიული მთლიანობის ცნობა, რომლის მთელ ტერიტორიაზეც ვრცელდება საქართველოს უზენაესი საბჭოს და რესპუბლიკის პრეზიდენტის კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოქმედება. დღეს კი დიდად გასაკვირია ის, რომ ოსთა ისტორიულ სამშობლოს „ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას“ უწოდებენ. ნება მიბოძეთ შეგახსენოთ, რომ 1918 წლის მარტში პიატიგორქში, თერგისპირა ხალხთა II ყრილობაზე, გამოცხადდა თერგის საბჭოთა რესპუბლიკა რუსეთის სფსრ შემადგენლობაში. 1919 წლის იანვარ-თებერვალში ისეთი ხელთ იგდო დენიკინმა, მაგრამ 1920 წლის მარტის მიწურულს კვლავ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. 1921 წლის მთიელთა ასსრ შემადგენლობაში შეიქმნა ვლადიკავკაზის (ოსეთის) ოკრუგი. 1924 წლის 7 ივნისს ეს ოკრუგი ოლქად, 1931 წლის დეკემბერში კი ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გადაკეთდა. მართალია, ამ დროისათვის საბჭოთა რუსეთისაგან ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიაზე უკვე არსებობდა ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, მაგრამ ისტორიული და პოლიტიკური სამართლიანობის აღდგენის შემდეგ, როცა საქართველოს კანონიერმა ხელისუფლებამ გააუქმა უცხო სახელმწიფოს აგრესიის ერთ-ერთი შედეგი, ისტორიული ოსეთის „ჩრდილოეთ ოსეთად“ მონათვლა სხვა არა არის რა, თუ არა იურიდიული ნონსენსი. ყოველივე ზემოხსენებული ერთ-ერთი უდიდესი დაბრკოლება იქნება ჩვენს შემდგომ ურთიერთობაში და გთხოვთ, მომავალში გაითვალისწინოთ ეს თქვენს საქანონმდებლო საქმიანობაში.

ბატონი თავმჯდომარევ! თუ ჩვენ სავსებით გვესმის სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ თანამოძმეთა დახმარება, რომელსაც თქვენ უწევთ, ქართველი ხალხის გაცვირვებას და უკიდურეს აღშფოთებას იწვევს, როცა თქვენ ხელს უწყობთ თვითმარქებია „საოლქო კომიტეტებს“, რაც, ვიმეორებ, აბრკოლებს ვითარების შემდგომ ნორმალიზაციას. სუვენერული სახელმწიფო თავის საშინაო საქმეებში ჩარევას ვერ შეურიგდება. ამიტომ მოვითხოვთ თქვენგან, ალადგინოთ თქვენი ქვეყნის ისტორიული სახელწოდება — „ოსეთი“, ნაცვლად „ჩრდილოეთ ოსეთისა!“, აგრეთვე ალარ ცნოთ უკანონო „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ და მისი „საოლქო კომიტეტი“.

გთხოვთ, თქვენი შემდგომი მოქმედებისას გაითვალისწინოთ ჩვენი წინადაღებანი. დარწმუნებული ვართ, რომ, თუ ერთმანეთს შევუთანხმებთ გონივრულ მოქმედებას, ერთობლივი ძალისხმევით დავძლევთ დაპირისპირებას და კონფლიქტს. თუ დავმაყოფილდა ყოველივე ზემოთქმული, ჩვენ შევძლებთ ისეთი კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენას, როგორის ღირსნიც არიან ჩვენი ხალხები და ჩვენი სახელმოვანი წინაპრები.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამასახულია.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საგრძლო პირველი სეისის 25 ივლისის ხედობა

25 ივლისს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სეისის მოჩიგი სხდომა, რომელიც მიმდინარეობდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აკაკი ასათანის თავმჯდომარეობით.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მთავრობის წევრები, აგრეთვე რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები.

პრესაში გამოქვეყნებული და რაიონთი და ტელევიზიით გადაცემული დღის წესრიგის დამტკიცებისას მასში დამატებით შეიტანეს კიდევ საკითხები — საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 75-ე მუხლის განმარტებისა და ქალაქ ცხინვალისა და ქავის რაიონის ტერიტორიაზე მმართველობის დროებითი ორგანოების შექმნის შესახებ, უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. ხოლო საკითხი ქალაქ სიღნაღმი არჩევნების მოწყობის შესახებ მოიხსნა.

საკითხების განხილვის დაწყების წინ სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების სახელით განცხადება გააკეთა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ვაჟა ადამიამ, რომელმაც უარყო 19 ივლისს გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში მარნეულის რაიონის პრეფექტის საქმიანობის გამო მოყვანილი ფაქტები და მოითხოვა საპარლამენტო კომისიის შექმნა კეშმარიტების დასადგენად.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე — საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის დაზუსტებული და წლის მეორე ნახევრის საგანგებო სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ — მოხსენებით გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი გურამ აბასანებე. დეპუტატებს შორის აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელმაც საფუძვლიანად გააანალიზა ეკონომიკიაში შექმნილი მძიმე სიტუაციის მიზეზები და მოუწოდა მთავრობას, განახორციელოს გადამჭრელი ღონისძიებანი მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. უზენაესმა საბჭომ მთავრობას დაავალა უმოკლეს ვადაში წარმოადგინოს მოქმედების კონკრეტული პროგრამა.

უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ გივი თაქთაქიშვილმა დეპუტატთა განსახილებელად შემოიტანა სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი, რომელმაც სესიის წინა სხდომაზე პირველი წაკითხვით მისი მიღების შემდეგ შეტანილია ასებითი დამატებანი. განიხილა რა ისინი, უზენაესმა საბჭომ მიიღო ეს კანონი, აგრეთვე დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოლების შესახებ.



კანონის როგორებიცაა დასაქმების შესახებ, რომელიც განსახილველად შემოქმედდება ტერიტორიულად მინისტრის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრმა თამაზ გუგუშვილმა, მწვავე კამათი გამოიწვია. კამათში მონაცილეობდნენ როგორც უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარები თეომურაზ ქორიძე, ტარიელ გელანტია, რობერტ პეტრიაშვილი და სხვა დეპუტატები, ისე რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა. საფუძვლიანი აზრთა გაზიარების შემდეგ კანონი დასაქმების შესახებ მიიღეს. მიიღეს აგრეთვე კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანისა და დადგენილება ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

უზენაესმა საბჭომ განიხილა და მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონები საგადასახალო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ, უცხოური ინვესტიციებისა და მათი დაცვის შესახებ დადგენილებანი მათი სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის თედო პაატაშვილის წარდგენით დეპუტატებმა მიიღეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, რატიფიკირებისა და დენონსაციის შესახებ. იგი ამოქმედდა მისი მიღების მომენტიდან. ამავე სხდომაზე, რესპუბლიკის პრეზიდენტის ზეიად გამსახურდისას წინადადებით მიიღეს გადაწყვეტილება ატომური იარაღის გაუცრცელებლობაზე 1968 წლის 1 ივნისის ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ. საქართველოს უზენაესმა საბჭომ სომხეთისა და აზერბაიჯანის პარალენტებს მიმართა წინადადებით, მიბაძონ მის მაგალითს, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ამიერკავკასიის რეგიონის უბირთვო ზონად გამოცხადების გზაზე.

სხდომაზე მიიღეს აგრეთვე დადგენილება საქართველოს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, რომელიც ახლახან დაიდო თბილიში.

იმ რესპუბლიკების უზენაესი საბჭოებისადმი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიმართვის პასუხად, რომელთაც უარი იქვეს ხელი მოაწერონ სამოქავშირეო ხელშეკრულებას, საქართველოს პარლამენტარებმა მიიღეს წერილი მისი მისამართით, რომელშიც ხაზგასმულია რესპუბლიკის მისწრაფება, კავშირურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა კავშირთან თვისებრივად ახალ საფუძველზე მხოლოდ და მხოლოდ თანასწორუფლებიან ურთიერთხელსაყრელ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაზე, და ამს გათვალისწინებით კვლავ დადასტურდა მზადყოფნა, მიუსხდნენ სსრ კავშირთან მოლაპარაკების მაგიდას.

სეიისზე საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ჭონი ხეცურიანის წარდგენით მიიღეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ. მიღებულია დადგენილება რესპუბლიკის ძირითადი კანონის 75-ე მუხლის განმარტების თაობაზე.



უზენაესში საბჭომ განიხილა საკითხი იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც წინათ დეპუტატთა ჯგუფმა გააკეთა ფინანსურ საქმიანობაში ზოგიერთი დარღვევის შესახებ და გადაწყვიტა შექმნას საპარლამენტო სამთავრობო კომისია სოფლის მეურნეობის, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთათვის ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებით სათანადო რეკომენდაციების შესამუშავებლად.

მიღებულია გადაწყვეტილება ქალაქ ცხინვალისა და ჭავის ტერიტორიებზე შეიქმნას მმართველობის დროებითი ორგანოები პრეფექტურების სახით, აგრეთვე კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის ვაწვევის წესის თაობაზე კანონში ცელილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

შიღებულია დადგენილება უზენაესი საბჭოს პრესცენტრის, პროგნოზირებისა და საინფორმაციო ცენტრის გაუქმებისა და მათი საშტატო ერთეულების საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პარატისათვის გადაცემის შესახებ.

28 ივნისს დეპუტატ ნოდარ ნათაძის შეკითხვის წესით დასმულ საკითხზე საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ პატიმართა გაგზავნის შესახებ უპასუხა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსმა მერაბ რაფაელ.

ამით სესიის მორიგმა სხდომაშ მუშაობა დაამთავრა.